# სარბიელი

სპორტული გაზეთი ოთხშაბათი 15 დეკემბერი 2004 №291 (2312) ფასი 50 თეთრი


# გუშინდელმა სამთავრობო მიწისძვრამ სპორტის დეპარტამენტიც შეარყია



## ირაკლი მეძმარიაშვილი თავში აღარ დაჯდება

# დღეს ჭიდაობა არ იქნება

## ბაკურ გოგიტიძე გამარჯვებულივით ერთია

ოლიმპიადის შემდგომი შემოდგომა-ზამთარი ყველგან ნიწილების დათვლის დროა და ასეა საქართველოშიც. ხვალ მოჭიდავეთა ჯერია, მათ უნდა შეაჯამონ ოთხი წლის მოგება-წაგებები და, რაც მთავარია, აირჩიონ ახალი პრეზიდენტი. სხვა სახეობებისგან განსხვავებით, მოჭიდავეები ბანაკებად არ დაყოფილან და ყრილობაზე ერთმანეთს ჭიდაობასაც არ გაუმართავენ, რაკი პრეზიდენტობის კანდიდატი მხოლოდ ერთია, ბაკურ გოგიტიძე და პრეზიდენტობიდან თავისი ნებით, დღემდე გაურკვეველი მიზეზით გადამდგარი გოჩა ძასოხოვის სავარძელშიც ის ჩაჯდება.



# მდიდრებმა ღატაკებისთვის ითამაშეს

კვირას შეშინებულ „სანტიაგო ბერნაბეუზე" გუშინ 65 ათასი კაცი თამამად მივიდა. მივიდა დიდვარსკვლავთა სანახავად და ქველი საქმისთვის. რონალდოსა და ზინედინ ზიდანის მეგობრებად დაყოფილმა გუნდებმა ბურთი ღლაბუც-ღლაბუც გააგორეს, თუმც მათი მოედანზე გასვლის მიზეზი სულაც არ იყო სალღაბუცო: მატჩის შემოსავალი გაეროს სილატაკესთან ბრძოლის ფონდში გადაირიცხა.

ამგვარ საქმეს ქართულად „მიეც გლახაკთა" ჰქვია და ნეტავ იმასაც მოგვასწრო, ჩვენებურ ღარიბ-ღატაკთ ამისთანა მომკითხავნი გამოსჩენოდეთ.



# განაჩენივით სიტყვა: ინფრასტრუქტურა

წელიწადზე მეტია, კლუბების ლიცენზირების აუცილებლობაზე ლაპარაკობენ, თუმც საქართველოში ეს პროცესი სპილოს ნაბიჯებით ვერ მიიწევს წინ. ხელის შემშლელ ფაქტორებს ბოლო არ უჩანს, მაგრამ გამოსავალი ხომ უნდა მოიძებნოს... სწორედ ამ საკითხზე სასაუბროდ შეხვდნენ გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი ვალერი ჩოლარია და ფედერაციის სხვა მესვეურები ქართული კლუბების წარმომადგენლებს

## თუ გინდა მოაწესრიგე

WC
ORLD HAMPIONSHIP
WC
ATER LOSET



ვალერი ჩოლარია კლუბებს აფრთხილებს: გახსოვდეთ ლიცენზია!

ჩოლარიას თქმით, სადღეისოდ ლიცენზირების სურვილი ათივე უმაღლესლიგელ და ოთხ პირველიგელ კლუბს აქვს. ერთი ნაღდია — ულიცენზიო გუნდებს უეფა საგაისო ევროტურნირებზე არ დაუშვებს. მაინც რას ნიშნავს ლიცენზირება და სერიოზულად უნდა დაფიქრდნენ თუ არა ჩვენი კლუბები ამაზე? ვალერი ჩოლარიას მოვუსმინოთ: „მთავარ მწვრთნელს B ლიცენზია უნდა ჰქონდეს, ჩვენ საამისოდ კურსები დავაწესეთ, თუმც ბევრი მწვრთნელი მას არ ესწრება. უეფამ ლიცენზირების პირობები გაამკაცრა — პირველ რიგში ინფრასტრუქტურა უნდა მოგვარდეს, რაც ჩვენს კლუბებს ძალიან უჭირთ. დღესდღეობით არც ერთ სტადიონს არა აქვს სერთიფიკატი. შარშან ეროვნული სტადიონი კი შეამოწმეს, მაგრამ „ლოკომოტივის“ სტადიონს რა მოვუხერხოთ?..“

ამის თაობაზე „ლოკომოტივის“ გენერალურმა მენეჯერმა ლევან ყიფიანმა დაიჩივლა, რკინიგზას ეს საკითხი არ აინტერესებს, ჯერ მფლობელიც ვერ გაგვირკვევია და რა ვქნათო. თუმც ჩოლარიას ვაჟმა ნოდარმა და ფედერაციის ლიცენზირების კომიტეტის თავმჯდომარე გერა ხეცურიანმა უპასუხეს, ერთობლივად ვიმუშავოთ, ჩვენც დაგეხმარებით და ზემო ინსტანციები შევაწუხოთო. „27 თებერვლამდე უეფას უნდა ვაცნობოთ ჩვენი სტადიონების სია, ანუ რომელ სტადიონზე შეიძლება გავმართოთ ევროტურნირის მატჩები. ეროვნულ და „ლოკომოტივის“, ასევე ქუთაისის სტადიონებს გავაგზავნით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ მოედნებზე თამაშის ნებას დაგვრთავენ. უეფას წარმომადგენელი ჩამოვა შემოწმებაზე და ის თავად შეაფასებს“ — განაცხადა გერა ხეცურიანმა, რომელმაც საპირფარეშოების საშინელ მდგომარეობაზეც გაამახვილა ყურადღება.

ვალერი ჩოლარიამ განაცხადა, ასე ადრე იმიტომ შევიკრიბეთ, რომ სამი-ოთხი თვის შემდეგ უკვე გვიანი იქნება და ევროტურნირებისკენ გზა ჩაგეკეტებათ, ამიტომ გაფრთხილებთ წინასწარო. ფედერაციის გენმდივნის თქმით, ლიცენზირების საკითხზე უახლოეს ორ კვირაში ჯერ თბილისის „დინამოსთან“, მერე კი „ვიტ ჯორჯიასთან“ ექნებათ შეხვედრები.

ჩვენი ჩემპიონატის ლიდერებიდან ყველაზე ჭაკად „ტორპედოს“ აქვს საქმე. როგორია, ქუთაისელები ალბათ მოიპოვებენ ევროსაგზურს, მაგრამ ვაითუ ვერ ითამაშონ. „ტორპედოს“ წარმომადგენელმა მურად ქუთათელაძემ თქვა, ჩვენი ბრალი არ არის, კლუბის ანგარიში დაყადაღებულია და ფინანსური საბუთები არ გაგვაჩნიაო. გამოსავალი? გერა ხეცურიანმა ქუთათელაძეს ურჩია, წერილობით მიმართონ პროკურატურას, რაღაც ხელჩასაჭიდი მაინც რომ გვქონდეს უეფასთანო. „ჩვენ ქართულ კლუბებს ყოველთვის დავიცავთ, მაგრამ უეფამ რომ არ გვისმინოს და „ტორპედო“ ევროტურნირებზე არ დაუშვას, ქუთაისელი გულშემატკივრები ხომ ცოდონი არიან. მერე ქომაგებმა ფედერაციასთან რომ პიკეტი მოაწყონ, რა პასუხი გავცეთ, ან ჩვენ რატომ უნდა დაგვბრალდეს?“ — განაცხადა ჩოლარიამ.

საბოლოოდ, ფედერაციისა და კლუბების მესვეურები შეთანხმდნენ, რომ ლიცენზირების თემაზე მუდმივი კონტაქტი ჰქონდეთ ერთმანეთთან. „ვიტ ჯორჯიას“ წარმომადგენლები, მალხაზ კაკაურიძე და დავით სამუშიაც შეშფოთებულები იყვნენ, წლეულს ყველანაირად მოვინდომებთ და ლიცენზირების უფლებას მოვიპოვებთ, მაგრამ გაისად ისევ ამ პრობლემებს შევეჩეხებითო. ისიც ითქვა, მოსწყინდებათ კლუბებს ამდენი თანხის ხარჯვა, საქართველოში ხომ ისედაც წამგებიანია ფეხბურთი და ახლა უარეს დღეში ჩავცვივდებით, საშველი კი ისევ სახელმწიფო სტრუქტურებია, სტადიონებსა და ბაზებს ჩვენი თანხებით ვერ ავუვალთო...

**ილია ნანობაშვილი**

## ლოკომოტივი ლოკომოტივისთვის თუ ლოკომოტივ-დეპოსთვის?

### რკინიგზისეული სტადიონი დახლზე



გუშინ თბილისის „ლოკომოტივში“ კრება გაიმართა. „ლოკომოტივი“ ჩვენს ჩემპიონატში ერთ-ერთი ყველაზე სტაბილური კლუბი და გუნდია და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლაც სავსებით ხელეწიფება. გუშინდელი კრების შესახებ კი კლუბის გენერალურ მენეჯერ ლევან ყიფიანს დავეკითხეთ

— გუნდი 4 იანვარს შეიკრიბება და მზადებას თბილისში დაიწყებს. შემდეგ უცხოურ შეკრებაზე წავა, ჯერ ზუსტად ვერ გეტყვით, თუ რომელ ქვეყანაში. რაც შეეხება ტრანსფერებს, ფეხბურთელთა სია დგინდება — რამდენიმე ფეხბურთელის გადმოყვანით დაინტერესებულნი ვართ, თუმც მათ ამის შესახებ ჯერ არ დაველაპარაკებივართ, გუნდის ბირთვი კი შენარჩუნდება — გვითხრა ყიფიანმა.

მისგან ისიც შევიტყვეთ, რომ გუნდის სატრანსფეროდ ყველაზე უფრო საინტერესო ფეხბურთელები, ალეკო გოგობერიშვილი და მიხეილ ბობოხიძე ჯერ არსად მიდიან, ხოლო ლადო ბურდული ჯერაც „დინამოს“ საკუთრებაა, თუმც თუ უცხოური გუნდი არ გამოუჩნდა, მეორე ეტაპზეც ლოკომოტიველი იქნება.

ერთი მნიშვნელოვანი საკითხიც — რა ბედი ეწევა „ლოკომოტივის“ სტადიონს?

— ჩვენ „ლოკომოტივის“ სტადიონზე იჯარით ვთამაშობთ და ჩვენს ინტერესში შედის, კვლავაც ამ სტადიონზე ვითამაშოთ. რკინიგზა არაპროფილურ ობიექტებს ყიდის და მათ შორის „ლოკომოტივის“ სტადიონსაც, მაგრამ გასაყიდი ფასი (35 000 000 ლარი) არარეალურია. კარგი იქნება, ეს სტადიონი იმას გადასცენ, ვის ინტერესებში არის მისი მოვლა და გაუმჯობესება, ასეთი კი ჩვენი კლუბია. ჩვენ გვინდა, რომ „ლოკომოტივის“ სტადიონის მართვაში მაინც მივიღოთ მონაწილეობა.

— კლუბ „ლოკომოტივის“ მეწილე რკინიგზა არ არის?

— კლუბ „ლოკომოტივის“ 75 პროცენტი კომპანია SILK ROAD-ისაა, 25 პროცენტი კი რკინიგზის.

— მერედა, სტადიონის საკითხის გადაწყვეტა რატომ ბრკოლდება?

— ამის თაობაზე რკინიგზაში, ცოტა არ იყოს, გაურკვევლობაა, თუმც რკინიგზა კლუბის ერთ-ერთი დამფუძნებელი რომაა, მისგან გარკვეული შეღავათებითაც ვსარგებლობთ. ისე კი, „ლოკომოტივის“ სტადიონი არარენტაბელურია.

— მეორე ეტაპზე „დინამოც“ „ლოკომოტივზე“ აპირებს თამაშს — თუ ასე მოხდა, რომელი გუნდისთვის იქნება „ლოკომოტივის“ სტადიონი საშინაო არენა?

— აქაც გაურკვევლობასთან გვაქვს საქმე. სტადიონის გამო პრობლემების წინაშე ჩვენ გარდა „დინამო“ და „ბათუმიც“ აღმოჩნდნენ.

**დავით თავართქილაძე**

## ლაპარაკობენ ლომაიაზე

### ხიმკი დინამოს გასაგონად ინგლისს და გერმანიას ახსენებს



საქართველოს ნაკრების მეკარე გიორგი ლომაია რუსულ „ხიმკისთან“ ერთად თურქეთში ემზადება საახალსეზონოდ, თუმც დარჩება თუ არა ჩვენებური გუნდში, ჯერაც გაურკვეველია.

გუშინდელ „სარბიელშიც“ ვწერდით, ლომაიას გადაბირებას მოსკოვის „დინამო“ ცდილობსო და ეს ცნობა ახლახან „ხიმკის“ ვიცე-პრეზიდენტმა ალექსანდრ შიკუნოვმაც დაადასტურა:

— დიახ, ლომაიას თაობაზე „დინამომ“ მოგვმართა, მაგრამ გიორგის სხვა საინტერესო ვარიანტებიც გამოუჩნდა — მის შეძენას ინგლისური და გერმანული კლუბები აპირებენ — თან ეს წინადადებები უფრო სერიოზული ჩანს“.

მოკლედ, რა როგორ იქნება და როდის გაირკვევა ყველაფერი, ძნელი სათქმელია. ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ კონტრაქტის თანახმად ლომაია კიდევ ორი წლით ეკუთვნის „ხიმკის“.

**კახა შალამბერიძე**

## დემეტრაძე იმალება



**საახალწლო** შესვენებასთან დაკავშირებით დონეცკის „მეტალურგის“ ვებ-გვერდმა გამოკითხვა მოაწყო გუნდის ფეხბურთელთა შორის. კითხვა ჩვეულებრივი იყო: სად გაატარებთ შვებულებას? პასუხთაგან ყველაზე უჩვეულო კი, რა თქმა უნდა, გიორგი დემეტრაძისა იყო: „ბუნებრივია, საქართველოში, კერძოდ, თბილისში აუცილებლად ჩავალ. მერე ცოტა ხანს იტალიაშიც წავალ, ბოლოს კი... არა, ამას ვერ გეტყვით...“

დემეტრაძის ასეთმა პასუხმა კორესპონდენტი, ცხადია, დააინტრიგა, თუმც განმარტება ისეთივე ბუნდოვანი მიიღო, როგორიც პასუხი იყო: „ქვეყანას ვერ დაგისახელებთ, რადგანაც მინდა, ყველასგან უცნობ ადგილზე დავისვენო. ყველას დავემალები და გარკვეული დროის განმავლობაში არ გამოვჩნდები“ — განაცხადა „დემემ“.

აქვე გეტყვით, რომ „მეტალურგს“ შვებულება 10 იანვარს უმთავრდება. გუნდი, რომელშიც სადღეისოდ დემეტრაძე ერთადერთი ქართველია (გოჩა ჯამარაული და გიორგი გახოკიძე ხომ დონეცკიდან აიბარგნენ), უკრაინის ჩემპიონატში პირველი წრის მერე მესამე ადგილზეა.

**კახა შალამბერიძე**

### ინგლისი

| პრემიერლიგა. გადადებული მატჩი | ასოციაციის თასი. II ეტაპი. გადათამაშება |
|---|---|
| ლივერპული 1:1 პორტსმუთი | ბრენტფორდი 2:1 ჰინკლი |
| | სუონსი 2:1 სტოკპორტი |

### ამხანაგური მატჩი

ბარსელონა 2:1 აიაქსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დინამოდან აუცილებლად წავალ

## ქირესთან ორიგინალობა არ ვარგა



*თბილისის „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების 24 წლის მარცხენაფლანგელი დავით კვირკველია დღესდღეობით ჩვენს ეროვნულ ჩემპიონატში მოთამაშეთაგან ყველაზე სატრანსფერო ფეხბურთელია, ყველაზე უფრო მას ძალუძს კარგ უცხოურ გუნდში გადასვლა. წინა სეზონში კვირკველია ეროვნული ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი გახდა, მიმდინარე სეზონში კი ევროტურნირზე საჭირო გოლებიც გაიტანა და „დინამომ" დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში ევროფრონტზე აქამდე არნახულ წარმატებას რომ მიაღწია, ამაში დიდი წვლილიც მიუძღვის.*

*და სად გადავა კვირკველია „დინამოდან"? დათოსთან საუბარიც აქედან დავიწყეთ*



## ტრანსფერზე თუ პრიზზე დავით კვირკველია ლანჩხუთშიც იფიქრებს

— კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით, მაგრამ თუ კარგი გუნდი გამოჩნდება, აუცილებლად წავალ.

— ეს „დინამოსაც" უნდა აინტერესებდეს, რადგან მალე „დინამოსთან" კონტრაქტი გიმთავრდება და თავისუფალი აგენტი გახდები...

— „დინამოსთან" კონტრაქტი ექვს თვეში, სეზონის დამთავრების შემდეგ მეწურება.

— „დინამოს" ხელმძღვანელობასთან შენი ტრანსფერის შესახებ არ გისაუბრია?

— არა, არც დარჩენაზე და არც წასვლაზე ჯერ არ გვილაპარაკია.

— შენი აგენტი მამუკა ჯულელი რას გეუბნება?

— მთხოვნელი გუნდები არისო, მაგრამ კონკრეტული ჯერ არაფერი უთქვამს. ჯულელი ახლა თბილისში არ არის.

— მაინც სად გინდა გადასვლა, რუსეთ-უკრაინის წამყვან გუნდებში თუ ევროპაში?

— სულერთია, მთავარია, ნორმალური გუნდი იყოს.

— ტრანსფერისთვის სანაკრებო კარიერა ძალიან მნიშვნელოვანია — ალენ ჟირესმა თურქეთთან რომ დაგაყენა სასტარტოში, მას მერე შეცვლებზე გათამაშებს...

— ჩემს პოზიციაზე ნაკრებში ძალიან დიდი კონკურენციაა — კალაძე, კობიაშვილი... პრეტენზია კი ჟირესის გადაწყვეტილებების გამო ნამდვილად არ მაქვს, მწვრთნელის გადაწყვეტილებებმა გაამართლა.

— თურქეთთან მატჩში თითქოს რაღაც განსაკუთრებულის კეთებას ეშურებოდი და ჟირესმაც ამის გამო ხომ არ ამოგაგდო სასტარტოდან?

— თურქეთთან მატჩი ნამდვილად ვერ ჩავატარე ისე, როგორც საჭირო იყო. მართლაც ვცდილობდი, ორიგინალურად მეთამაშა და ეს რომ არ გამომივიდა, ალბათ იმიტომ აღარ მათამაშებდა ჟირესი სასტარტოში.

— ისევ „დინამოზე" გადავერთოთ — ანალიზის გასაკეთებლად საკმაო დრო გავიდა და როგორ ფიქრობ, „დინამოს" წარმატება ევროსარბიელზე ყველაზე უფრო რამ განაპირობა?

— ყველაფერი სწორად გაკეთდა „დინამოში" და ამიტომაც ყველაფერი კარგად აგვეწყო — „სლავიას" და „ვისლას" ამოსაქაჩი თამაშები მოვუგეთ, მათთან სტუმრად დავმარცხდით, მაგრამ მომდევნო ეტაპზე ჩვენ გავედით — ეს ერთობ მნიშვნელოვანი იყო. ჯგუფურ ეტაპზე კი ასე ცუდად არ უნდა გვეთამაშა. „ნიუკასლთან" გასვლაზე ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება თამაში, მაგრამ „სოშოსთან" და „სპორტინგთან" ბევრად უკეთესად შეიძლებოდა თამაში. „დინამოზე" ძალიან უარყოფითად იმოქმედა ფეხბურთელთა ტრავმებმაც — ერთი-ორი მოთამაშის არყოფნა გუნდს ძალიან ეტყობოდა.

— „ნიუკასლთან" თამაშით გია გეგუჩაძე უკმაყოფილო იყო, ჩვენი ფეხბურთელები შებოჭილები იყვნენ, თავისუფლად ვერ ითამაშესო...

— მწვრთნელი ყველანაირად ცდილობს, მისმა ფეხბურთელებმა თავისუფლად ითამაშონ, მაგრამ ყველამ იცის, რა ფეხბურთელები თამაშობენ „ნიუკასლში", ისინი ასე იოლად არ მოგვცემდნენ თავისუფლად თამაშის საშუალებას. „ნიუკასლმა" პირველი წუთებიდანვე პრესინგი ითამაშა, თუმც ორი კარგი მომენტი მაინც შევქმენით, მაგრამ გოლი რომც გაგვეტანა, ამით ალბათ ბევრი არაფერი შეიცვლებოდა.

— „ნიუკასლთან" მატჩისთვის ახალგამოჯანმრთელებული იყავი და მიუხედავად ამისა, მაინც ითამაშე — თუ ფეხბურთელი ასი პროცენტით არ არის მზად, მაინც უნდა ითამაშოს?

— „ნიუკასლთან" თამაშამდე ხუთი დღით ადრე მოვირჩინე ტრავმა, მაგრამ სულით და გულით მინდოდა თამაში. მწვრთნელმაც ძირითადში დამაყენა და მისი მადლობელი ვარ.

— ეროვნული ჩემპიონატის პირველი ეტაპის შუაში კი „დინამომ" რამდენიმე მატჩი ჩააგდო...

— ეგრეა, ჩემპიონატში ავურიეთ, ხშირად რომ გვიწევდა თამაში, ამან ცუდად იმოქმედა ჩვენზე, თავი იჩინა დაღლილობამ და ფსიქოლოგიურმა სტრესმა.

— ჩვენს ჩემპიონატში ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოგწონს?

— „თბილისი", რადგან ეს გუნდი იმას თამაშობს, რასაც ფეხბურთის თამაში ჰქვია. თითქმის ყველა სხვა გუნდი „დინამოსთან" თამაშისას კარში დგას, ფრითაც კმაყოფილები არიან, „თბილისი" კი ისე თამაშობს, როგორც საჭიროა.

— ახლანდელ „დინამოში" თამაში რითია სპეციფიკური?

— დინამოელობა ნაღდად ძნელია. როცა უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე გავედით, გულშემატკივრისგან დიდ სითბოსა და სიყვარულს ვგრძნობდით, მერე კი უკვე ხალხი რაღაცნაირად გვიყურებდა და ეს ასეც უნდა იყოს — „დინამოსგან" ყოველთვის ბევრს ითხოვენ.

— წინა ეროვნულ ჩემპიონატში საუკეთესო ფეხბურთელი გახდი — რამდენად პრიორიტეტული იქნება ასეთი აღიარება შენთვის ამ ჩემპიონატში, თუ, რა თქმა უნდა, „დინამოში" დარჩები?

— ლაპარაკიც არ უნდა იმას, რომ თუ დავრჩი, საუკეთესო ფეხბურთელის პრიზის მოპოვებას კვლავ ყველანაირად ვეცდები.

— და შენს მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევ?

— მელქაძე ახლა ძალიან კარგ ფორმაშია, კარგად გამოიყურებიან ოდიკაძე და მეგრელაძე. მოკლედ, კონკურენტი ბევრია.

— საკუთარ თავზე როგორ მუშაობ, რა კომპონენტის დახვეწას ცდილობ?

— ბოლო დროს მეტწილად ჩაწოდებებზე ვვარჯიშობდი, მაგრამ ახლა, როცა საშუასეზონო შეკრება დაიწყება, ყველა კომპონენტი უნდა გავაძლიერო.

— შვებულებას სად გაატარებ?

— ორი-სამი დღით ლანჩხუთში წავალ, მერე კი არ ვიცი...

**დავით თავართქილაძე**



ცოტაც და, შოთა კაშია ისევ შეუტევს

# ორი შოთას ამბავი

**რა ხანია,** თბილისის „დინამოს" შემადგენლობაში ორი შოთა — გრიგალაშვილი და კაშია — არ გამოჩენილა. გრიგალაშვილი 2 ოქტომბერს „ბათუმთან" საჩემპიონატო მატჩისას დაშავდა — ფეხი მოიტეხა, კაშიამ კი 4 ნოემბერს „ნიუკასლთან" უეფას თასის მატჩში დაიზიანა მენისკი.

მოკლედ, ორმა დინამოელმა სეზონინაადრევად დაასრულა და „დინამოს" გარდა საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსაც ვერ შეეშველა.

სიახლე კი ისაა, რომ გრიგალაშვილი უკვე მომჯობინდა და ინდივიდუალური პროგრამითაც ვარჯიშობს. უკეთაა კაშიას მდგომარეობაც — „დინამოს" ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ახალგაზრდა ფეხბურთელი 5 იანვარს განაახლებს ვარჯიშს, სწორედ ამ დროს იკრიბება „დინამოც".

გუშინ *შოთა კაშიას* შევეხმიანეთ და ჯანმრთელობის ამბები უფრო დაწვრილებით გამოვკითხეთ...

— ჯერაც ვმკურნალობ. დღეს პირველი ნემსი გავიკეთე. ახლა თავს უკეთ ვგრძნობ, შედარება არაა.

— ნემსი რისთვისაა საჭირო?

— მენისკთან ერთად ხრტილიც დაზიანებული მქონდა. ათი ნემსი უნდა გავიკეთო და ხრტილიც გამაგრდება.

— ესე იგი, ფაქტობრივად, ორ კვირაში სრულად მომჯობინდები...

— კი, ორ კვირაში ამ ნემსებსაც მოვრჩები და ეგ არის. ძალიან კი გამაწამა ფეხმა — მარტო სითხე სამჯერ ამოვიღე.

— და ვარჯიშს როდის დაიწყებ?

— 5 იანვარს გუნდი იკრიბება და მეც მაგ დროისთვის დავიწყებ ბურთით ვარჯიშს, თორემ ტრენაჟორებზე ისედაც დავდივარ.

**კახა შალამბერიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვისწავლეთ ის, რომ უნდა ვისწავლოთ



## ამერი და გიორგი ჩიხრაძე: მწვრთნელი და გუნდი ერთად იზრდებიან

გიორგი ჩიხრაძემ სამწვრთნელო საქმეს აპრილში მოჰკიდა ხელი. მოედნიდან მან პირდაპირ სათადარიგოთა სკამზე გადაინაცვლა და ფეხბურთს ახლა იქიდან თამაშობს, უფრო სწორად, სხვას ასწავლის თამაშს.

— ძნელი ყოფილა?

გიორგი ჩიხრაძესთან შეხვედრისას პირველად ეს ვიკითხე.

— საკმაოდ

მივიღე მოკლე პასუხი.

მით უმეტეს ძნელია მწვრთნელობა მაშინ, როცა სულ ორი წლის შექმნილ გუნდში მუშაობ. მუშაობ, თან სწავლობ და თან დასახულ მიზნებს უნდა მიაღწიო, ანუ გუნდი პირველიდან უმაღლეს ლიგაში გადაიყვანო და თაობაც აღზარდო.

თბილისის „ამერი“ და გიორგი ჩიხრაძე, ამბიცია და მიზანსწრაფვა, შრომა და მონდომება, სწავლა და სწავლის სურვილი... მოკლედ, გუნდი და მისი მწვრთნელი ერთად იზრდებიან. იზრდებიან და, შესაბამისად, საკეთებელიც იმდენი აქვთ, როგორც თავად გიორგი ჩიხრაძე ამბობს, ჯერ სადა ხარ...

**— როცა სამწვრთნელო საქმეს ხელი მოჰკიდე, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რა გზასაც დავადექი.** ფსიქოლოგიურად საამისოდ მზად ვიყავი თუ არა, ძნელია თქმა, თუმც კარგად მესმოდა, რომ წინ ბევრი სიურპრიზი მელოდა. სხვაა, როცა მწვრთნელობაზე ფიქრობ და სხვა, როცა უკვე მწვრთნელი ხარ.

**— სიურპრიზებიო, ახსენეთ, უფრო კონკრეტულად?**

— კონკრეტულად რა გითხრათ. ჯერაც ვსწავლობ, სწავლა კი უსასრულო პროცესია და, რა თქმა უნდა, ყველანაირი სიახლისთვის მზად უნდა იყო.

**— მწვრთნელად აპრილში დაინიშნეთ. რას იტყვით, ამ რვა თვეში რა ისწავლეთ?**

— ის ვისწავლე, რომ კიდევ ბევრი უნდა ვისწავლო. გამოცდილება მივიღე, ყოველი მატჩის ფირს ათასჯერ ვატრიალებ, თამაშს ვაანალიზებ, შეცდომებს ვეძებ.

**— და ბევრ შეცდომას ნახულობთ?**

— შეცდომაც ბევრი ვნახე და, როგორც გამოჩნდა, სწორი გადაწყვეტილებაც ბევრჯერ მიმიღია.

**— აპრილიდან დღემდე, თქვენი მუშაობით კმაყოფილი ხართ?**

— იდეალურისგან, რა თქმა უნდა, ჯერ ძალიან შორს ვარ და არც თავს ვაძლევ თვითკმაყოფილების უფლებას. ჩემთვის მთავარია, არ მოვდუნდე და ისევე გულიანად გავაგრძელო საქმე, როგორც აქამდე.

**— გუნდის თამაშით თუ ხართ კმაყოფილი?**

— თუ გავითვალისწინებთ, რომ სანახევროდ „ამერის“ ამჟამინდელი შემადგენლობა ზედ სეზონის დაწყების წინ ჩამოყალიბდა და ახლა მეორე ადგილზე ვართ, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. თუმც ყველაფერი მაინც არ მაკმაყოფილებს და უფრო მეტს ვითხოვ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის იყო, რომ გუნდმა მეოთხე ტურის შემდეგ დაწყებული კრიზისის დაძლევა და თამაშის ხარისხის გაუმჯობესება მალე შეძლო.

**— ფეხბურთელის კარიერის დასრულების შემდეგ პირდაპირ მწვრთნელობა დაიწყეთ და ფეხბურთელებს უკვე განზე მყოფი უცქერთ. როგორ ფიქრობთ, ყველაზე მეტად ფეხბურთელებს რა აკლიათ?**

— ფეხბურთს ისე ვერ ითამაშებ, თუ ტექნიკურ-ტაქტიკურად, ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად მეტნაკლებად თანაბრად არ ხარ მომზადებული. ჩვენს ფეხბურთელებს კი ბავშვობიდან პროფესიონალად ჩამოყალიბებამდე პერიოდი ფაქტობრივად გამოტოვებული აქვთ და ნაკლიც ამის ბრალია. ბიჭები ბავშვობიდან პირდაპირ დიდ ფეხბურთში მოვიდნენ, არადა, აქამდე კიდევ რამდენიმე ეტაპი ჰქონდათ გასავლელი, სწორედ ის პერიოდი, როცა სწორად თამაში უნდა ესწავლათ. ამ პრობლემის მოსაგვარებლად კი ფეხბურთის განვითარების პროგრამაა საჭირო, რაზეც აქამდეც ბევრს ლაპარაკობდნენ, მაგრამ საქმე ადგილიდან არ დაძრულა. ისე კი, რა თქმა უნდა, ჩვენს ფეხბურთელებს უდიდესი პოტენცია აქვთ.

**— როცა სამწვრთნელო სამყაროში მოხვდით, პირველად რა პრობლემის წინაშე აღმოჩნდით?**

— დღევანდელი ქართული ფეხბურთი შემთხვევით არაა ასეთ დაბალ დონეზე. ჩვენ წინ ძალიან მოკლე ნაბიჯებით მივდივართ. არაპროფესიონალიზმი, უგერგილობა, კორუფცია ამუხრუჭებს ქართული ფეხბურთის განვითარებას.

**— მოდით, ისევ „ამერს“ მივუბრუნდეთ. თქვენ თასზეც ითამაშეთ და მეოთხედფინალში, „ვიტ ჯორჯიასთან“ დამარცხდით. შედეგით კმაყოფილი ხართ?**

— კმაყოფილი როგორ ვიქნები, როცა მეოთხედფინალში დავმარცხდით?! თუმც ჩვენთვის „ვიტ ჯორჯიასთან“ ორი მატჩი ძალიან მნიშვნელოვანი იყო და მიუხედავად იმისა, რომ „ვიტ ჯორჯიამდე“ პირველი და უმაღლესი ლიგების გუნდები დამარცხებული გვყავდა, საქართველოს ჩემპიონთან ძალების მოსინჯვა ჩვენთვის საინტერესო იყო. ეს მატჩებიც სასწავლებლად გამოგვადგება. მნიშვნელოვანი გახლდათ ისიც, რომ „ვიტ ჯორჯიასთან“ 2:5 წაგებული პირველი მატჩის მიუხედავად, „ამერს“ საპასუხო მატჩში მოტივაცია დაკარგული არ ჰქონდა და ბოლომდე იბრძოლა. მაშინაც კი, როცა საპასუხო შეხვედრაში 0:2 ვაგებდით, ამერელებს ყურები არ ჩამოუყრიათ.

**— სწორედ ეს მინდოდა მეკითხა...**

— არაფერი განსაკუთრებული, გუნდი 0:2 აგებდა და მაინც ბოლომდე, ბოლო წუთამდე იბრძოლა. მოტივაციის უქონლობა მთლიანად ქართული ფეხბურთის პრობლემაა. თუნდაც გაცილებით სუსტმა გუნდმა ჩვენებს გოლი პირველმა თუ გაუტანა, თამაში დამთავრებულია. არადა, ერთი და ორი შემთხვევა არ ყოფილა, როცა გუნდი სამბურთიანი სხვაობითაც აგებდა და ბოლოს მოუგია. გამარჯვებისკენ სწრაფვას, ჟინს გამომუშავება სჭირდება, ეს კი ნელ-ნელა, თამაშიდან თამაშამდე მოდის. ბიჭებს მე ყოველთვის ვეუბნები, როცა 5:0 იგებ და მეტოქე ერთ საპასუხოს გაგიტანს, ჩათვალეთ, რომ თამაში თავიდან იწყება-მეთქი. თამაშიდან ერთი წუთითაც არ უნდა გამოითიშო. „ვიტ ჯორჯიასთან“ საპასუხო მატჩისა და ზემოთ ნახსენები კრიზისის სწრაფად გადალახვის შემდეგ კი კმაყოფილი იმიტომ დავრჩი, რომ „ამერმა“ ბრძოლის უნარი გამოავლინა.

**— წლეულს „ამერის“ მიზანი რა არის?**

— ყველა მატჩის მოგება და, შესაბამისად, უმაღლეს ლიგაში გადასვლა. თუმც შედეგთან ერთად ჩვენი მიზანი ახალი თაობის აღზრდაა. კიდევ უფრო ბრძოლისუნარიან გუნდად უნდა ჩამოვყალიბდეთ, ფეხბურთელებს მწვრთნელის ყველა დავალების შესრულება უნდა შეეძლოთ.

**— ამჟამად ყველაზე მეტად „ამერს“ რომელ რგოლში უჭირს?**

— „ამერი“ შენდება და ამ პროცესს პრობლემებიც ახლავს. რა თქმა უნდა, გაძლიერება არ გვაწყენდა, მაგრამ არც ისეა საქმე, რომელიმე სათამაშო რგოლის ახლავე გადახალისება აუცილებელი იყოს.

**— საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე არ გაქვთ პრობლემები?**

— საგანგაშო არაფერია. ბოლო მატჩებში ამ პოზიციაზე მოთამაშეთ პროგრესი დაეტყოთ და ვიმედოვნებ, მეორე წრეში კიდევ მოუმატებენ.

**— ზამთრის შესვენებაზე „ამერში“ ბევრი ცვლილება იქნება?**

— არა. არც ბევრია წამსვლელი და ბევრის დამატებასაც არ ვაპირებთ.

**— უმაღლესი ლიგის საგზურისთვის ბრძოლაში უმთავრეს კონკურენტებად ვის თვლით?**

— პირველ ლიგაში მოთამაშე ყველა გუნდი ჩვენი კონკურენტია, ყველასთან ერთნაირი ძალით ვთამაშობთ, მიზანი, ხომ ვთქვი, ყველას დამარცხებაა.

**— რეალურად ვის მიიჩნევთ კონკურენტებად?**

— „ბორჯომს“, „სპარტაკს“ და „კახეთს“.

**— ბოლოს უახლოეს გეგმებზეც გვითხარით.**

— ჯერ ვისვენებთ. ნაახალწლევს შევიკრიბებით და მზადების პირველ ეტაპს თბილისში გავივლით, შემდეგ ორი კვირით გრიგოლეთში წავალთ, ორი კვირით ისევ აქ დავბრუნდებით, ბოლოს კი ანთალიას მივაშურებთ.

**კობა ინასარიძე**

UEFA CUP **უეფას თასი 2004-2005. ჯგუფური ეტაპი. V ტური**

ევროპული ბიბლიოთეკა

# დაითვალეთ გოლები

**A ჯგუფი**

ჰართსი — ფერენცვაროში
ბაზელი — ფეიენოორდი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ფეიენოორდი | 3 | 2 | 1 | 0 | 6:2 | 7 |
| შალკე | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 7 |
| ბაზელი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| ჰართსი | 3 | 1 | 0 | 2 | 2:5 | 3 |
| ფერენცვაროში | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

**B ჯგუფი**

სტანდარდი — ბილბაო
პარმა — ბეშიქთაში

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 4 | 2 | 0 | 2 | 4:3 | 6 |
| ბილბაო | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ბეშიქთაში | 3 | 1 | 1 | 1 | 5:4 | 4 |
| სტანდარდი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| პარმა | 3 | 1 | 0 | 2 | 2:4 | 3 |

**C ჯგუფი**

ბრიუგე — სარაგოსა
უტრეხტი — აუსტრია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დნიპრო | 4 | 3 | 0 | 1 | 7:5 | 9 |
| სარაგოსა | 3 | 2 | 0 | 1 | 4:2 | 6 |
| ბრიუგე | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| აუსტრია | 3 | 1 | 1 | 1 | 2:2 | 4 |
| უტრეხტი | 3 | 0 | 0 | 3 | 1:5 | 0 |

**D ჯგუფი**

ნიუკასლი — სპორტინგი
სოშო — პანიონიოსი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნიუკასლი | 3 | 3 | 0 | 0 | 7:0 | 9 |
| სპორტინგი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| სოშო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:4 | 6 |
| პანიონიოსი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:7 | 3 |
| დინამო | 4 | 0 | 0 | 4 | 2:13 | 0 |

**E ჯგუფი**

მიდლსბრო — პარტიზანი
ვილიარეალი — ეგალეო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მიდლსბრო | 3 | 2 | 0 | 1 | 3:2 | 6 |
| პარტიზანი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:3 | 5 |
| ვილიარეალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ლაციო | 4 | 0 | 3 | 1 | 5:7 | 3 |
| ეგალეო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

**F ჯგუფი**

რეინჯერსი — ოსერი
გრაცერი — ალკმაარი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალკმაარი | 3 | 3 | 0 | 0 | 6:1 | 9 |
| რეინჯერსი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:1 | 6 |
| ოსერი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:3 | 4 |
| გრაცერი | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| ამიკა | 4 | 0 | 0 | 4 | 3:16 | 0 |

**G ჯგუფი**

ჰერენვენი — ბევერენი
შტუტგარტი — დინამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბენფიკა | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 9 |
| შტუტგარტი | 3 | 2 | 0 | 1 | 8:2 | 6 |
| დინამო | 3 | 1 | 1 | 1 | 8:5 | 4 |
| ჰერენვენი | 3 | 1 | 1 | 1 | 5:6 | 4 |
| ბევერენი | 3 | 0 | 0 | 3 | 2:14 | 0 |

**H ჯგუფი**

ლილი — სევილია
აეკ — ალემანია

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სევილია | 3 | 2 | 1 | 0 | 6:3 | 7 |
| ლილი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| ზენიტი | 4 | 1 | 2 | 1 | 9:6 | 5 |
| ალემანია | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| აეკ | 3 | 0 | 0 | 3 | 4:10 | 0 |



„შალკემ“ და „ფეიენოორდმა“ მეთექვსმეტედფინალი წინა ტურში გაინაღდეს

*უეფას თასის ჯგუფური ეტაპის ბოლო ტური დღეს დაიწყება და ხვალ დასრულდება. პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გასული გუნდები მეთექვსმეტედფინალში ითამაშებენ. რამდენიმე გუნდმა ქულათა თანაბარი რაოდენობა თუ მოაგროვა, მათი ადგილები ასე განისაზღვრება: ა) ბურთების უკეთესი სხვაობით; ბ) მეტი გატანილი გოლი; გ) სტუმრად გატანილი მეტი გოლით. ეს მაჩვენებლებიც თანაბარი თუ გამოდგა, მაშინ უეფა საკლუბო რეიტინგის დავთარში ჩაიხედავს და უპირატესობას უკეთესი კოეფიციენტის მქონე კლუბს მიანიჭებს.*

*მეთექვსმეტედფინალის წილისყრა 17 დეკემბერს ნიონში გაიმართება. ჯგუფის პირველადგილოსნებს მესამეადგილოსნებთან დააწყვილებენ, ხოლო მეორეზე გასულებს — ჩემპიონთა ლიგიდან უეფას თასზე გადანაცვლებულებთან. ერთი ქვეყნის გუნდები ერთმანეთს არ შეხვდებიან. ჯგუფის გამარჯვებულები და მეორეები მეთექვსმეტედფინალის პირველ მატჩებს სტუმრად გამართავენ.*

## A ჯგუფი

„ფეიენოორდმა“ და „შალკემ“ სამეულში ადგილი უკვე გაინაღდეს. გასარკვევია მესამე მეთექვსმეტედფინალისტი. „ბაზელი“ „ფეიენოორდს“ მასპინძლობს, „ჰართსი“ კი „ფერენცვაროშს“. შვეიცარიელებს სამეულში დასამკვიდრებლად გამარჯვება სჭირდებათ, ხოლო „ჰართსის“ ბედი ბაზელურ შეხვედრაზეა დამოკიდებული. კრისტიან გროსის შეგირდებმა როტერდამელებთან თუ წაიფორხილეს, მაშინ შოტლანდიურ კლუბს შანსი უჩნდება, ოღონდ თავად უნგრელებს უნდა სძლიონ. მოკლედ, ეს ჩახლართული ვითარება ხვალ დალაგდება და გამორიცხული არაა, მესამე ადგილზე „ფერენცვაროში“ აღმოჩნდეს.

## B ჯგუფი

ამ ჯგუფში დიდი არეულობაა. მხოლოდ ბუქარესტის „სტიაუმ“ დაიგულა თავი მეთექვსმეტედფინალში.



გი ლაკომბის „სოშოს“ „პანიონიოსის“ ძლევა რა უნდა გაუჭირდეს

ბილბაოს „ატლეტიკს“ ლიეჟში „სტანდარდთან“ ფრეც ხელს აძლევს, მასპინძლებს კი მხოლოდ გამარჯვება გაიყვანს ჯგუფიდან. „პარმა“, რომლის მწვრთნელი სილვიო ბალდინი გასულ უქმეებზე მოხსნეს, „ბეშიქთაშს“ დაუხვდება. პარმელებს სამეულში მოსახვედრად აუცილებლად მოგება სჭირდებათ, თან „ბილბაომ“ ლიეჟში არ უნდა წააგოს.

## C ჯგუფი

დნეპროპეტროვსკის „დნიპროს“ თავი ქუდში აქვს, ჰოლანდიური „უტრეხტი“ კი ბოლო ადგილს ვერ ასცდება. „ბრიუგე“ „სარაგოსას“ მიიღებს და მოგების შემთხვევაში სამეულში ადგილს გაინაღდებს. „სარაგოსასთვის“ წაგება სანერვიული არ იქნება იმ შემთხვევაში, თუ „აუსტრია“ „უტრეხტთან“ ვერ იმარჯვებს. „ბრიუგეს“ ფილიპ კლემანი და მარეკ შპილარი ჰყავს ტრავმირებული, ხოლო ვიქტორ სუარესი დისკვალიფიცირებულია.

## D ჯგუფი

„ნიუკასლი“ „სპორტინგს“ შეეხლება. „კაჭკაჭებს“ ჯერ თამაში არ წაუგიათ და გოლიც არ გაუშვიათ. მასპინძლებს ტრავმირებული ნიკი ბათი, ოლივიე ბერნარი და სტივენ კარი დააკლდებათ, ხოლო ლი ბოუერი დისკვალიფიკაციის გამო ვერ ითამაშებს.

„პანიონიოსი“ „სოშოს“ ესტუმრება და საეჭვოა, ბერძნებმა საფრანგეთიდან სამი ქულა წაიღონ. დამხვდურთა სილვენ მონსორო და ლიონელ პოტილონი დაშავებულნი არიან, ხოლო უილსონ ორუმამ და ჯავად ზაირიმ, შესაძლოა, „პანიონიოსთან“ შეხვედრაში ითამაშობენ.

## E ჯგუფი

ამ ჯგუფის სამეული გარკვეულია: „მიდლსბროს“, „პარტიზანსა“ და „ვილიარეალს“ „ლაციო“ და „ეგალეო“ ველარ დაეწევიან. ბოლო ტური მხოლოდ ადგილებს გადაანაწილებს. სტივ მაკლარენის პრემიერლიგელები ბელგრადის „პარტიზანს“ უმასპინძლებენ. „მიდლსბროს“ ორი დისკვალიფიცირებული ფეხბურთელი არ ეყოლება — კედრუ და ბოატენგი, ხოლო ძირითად შემადგენლობაში ალბათ ტრავმამოშუშებული რაიციგერი გამოჩნდება, რომელსაც აგვისტოს შემდეგ არ უთამაშია.

„ვილიარეალის“ ტრავმირებულებს (როხერ გარსია, ხავი კალეხა და სებასტიან ბატალია) ხოსე მარიც შეემატა, არუაბარენა კი „ეგალეოსთან“ მატჩს სასჯელის გამო გამოტოვებს.

## F ჯგუფი

კო ადრიანსეს „ალკმაარმა“ გასულ ტურში „რეინჯერსის“ ძლევით მეთექვსმეტედფინალის საგზური ჩაიჯიბა. „ოსერი“ გლაზგოს ეწვევა და „ჩაფრებს“ დაეჭიდება, ხოლო „გრაცერი“ ბედს „ალკმაართან“ სცდის. „რეინჯერსს“ სამეულში ადგილის გასანაღდებლად ფრეც ხელს აძლევს. ფრანგულ გუნდს ლიონელ მატისი და იოან რადე ვერ დაეხმარებიან, ცხვირგატეხილი ფილიპ ვიოლოსა და კუნთდაჭიმული ჟან-სებასტიან ჟორეს თამაში კი საეჭვოა. „ჩაფრების“ ჟან-ალენ ბუმსონგის ტრავმა აწუხებს, რომელმაც ყოფილი გუნდის წინააღმდეგ ეგებ ვერც ითამაშოს.

## G ჯგუფი

პირველი ადგილიდან ლისაბონის „ბენფიკას“ ჩამოსაცურებლად „შტუტგარტს“ ზაგრების „დინამოს“ ძლევა სჭირდება. მათიას ზამერის შეგირდებმა ისე კარგად თუ ითამაშეს, როგორც მიუნხენში „ბაიერნთან“, ხორვატიული კლუბის დამარცხება არ უნდა გაუჭირდეთ. ილია ლონჩარევიჩის „დინამომ“ შინაჩემპიონატში „ჰაიდუკთან“ მატჩი დათმო.

ბელგიური „ბევერენი“, რომელსაც სამ შეხვედრაში ქულაც არ აულია, მეზობელ ჰოლანდიაში „ჰერენვენს“ ესტუმრება. „შტუტგარტი“ — „დინამოს“ თამაში როგორც არ უნდა დამთავრდეს, „ჰერენვენი“ მოგების შემთხვევაში ჯგუფიდან გავა.

## H ჯგუფი

სანკტ პეტერბურგის „ზენიტის“ მეთექვსმეტედფინალში გასვლა ათენურ მატჩზეა დამოკიდებული. აეკ-მა „ალემანიასთან“ თუ არ წააგო, მაშინ ნევისპირელები სამეულში იქნებიან. გერმანელებმა ათენში თუ მოიგეს, „ზენიტი“ ხელცარიელი დარჩება. „ლილისა“ და „სევილიას“ შეხვედრაში კი პირველი ადგილის ბედი გადაწყდება.

**ვაჟა ხუციშვილი**



„ალკმაარმა“ წინა ტურში დადო პრსო და „რეინჯერსი“ დაჩაგრა და თავი მომდევნო ეტაპზე დაიგულა

# France Football



*ნამდვილად უხილავ ძალთა ქარიშხალი ტრიალებს უკრაინის თავს. ქვეყანა ალსდგა, ბატონი უნდა გადავაგდოთო, ნარინჯისფერი ჯანყი წამოიწყო და ეგ რაა, ფეხბურთი რომ ფეხბურთია, იქაც უკრაინელმა შეატორტმანა [illegible] ანდრეი შევჩენკო „ფრანს ფუტბოლის“ ტრადიციულმა რესპონდენტებმა კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელეს. გთავაზობთ თარგმნილ ინტერვიუს ლაურეატთან*

## გაჩერება დანაშაულია

### ანდრეი შევჩენკო: მილანში გოლი, უკრაინაში გოლი და გოლზეც მეტი

— გილოცავთ. „ოქროს ბურთის“ ლაურეატის რანგში როგორ გრძნობთ თავს?

— გამოგიტყდებით, საკმაოდ ვინერვიულე. ფეხბურთელის ცხოვრებაში ასეთი დღეები იშვიათია. დიდი მადლობა ჩემს თანაგუნდელებს, რომელთაც ბოლოსაც დიდი პატივი მცეს და ზედ ჯილდოს მიღების წინ, „ფიორენტინასთან“ შეხვედრაში ორი გოლის გატანაში შემიწყვეს ხელი.

— შეიძლება ითქვას, რომ ეს წელიწადი თქვენს კარიერაში საუკეთესო იყო?

— მე უფრო ორ წელიწადზე ვილაპარაკებდი — შარშანდელზე და წლევანდელზე. შარშან „მილანმა“ მოიგო ჩემპიონთა ლიგა და სუპერთასი, წლეულს კი სკუდეტო და მეც სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირი გავხდი. გარდა ამისა, ახალ სეზონში ჩვენ წარმატებით ვთამაშობდთ როგორც ლიგაში, ასევე იტალიის ჩემპიონატში, ხოლო უკრაინის ნაკრები შესარჩევ ჯგუფში ლიდერობს. ბედნიერება მეწვია პირად ცხოვრებაშიც — დავოჯახდი და ვაჟი შემეძინა. მეტი რა უნდა მინდოდეს ამ ცხოვრებისგან?

— თქვენ ყოველთვის ხაზს უსვამთ, რომ გუნდურ მიღწევას პირადულზე მაღლა აყენებთ. „ოქროს ბურთი“?

— „ოქროს ბურთიც“ გუნდური ჯილდოა. მე იგი ბევრ ადამიანს უნდა გავუყო. რა თქმა უნდა, მსიამოვნებს ჯილდო პირადად რომ მხვდა, მაგრამ არასდროს დავივიწყებ, რომ ეს მართლაც ბევრი ადამიანის დამსახურებაა. რაც შეეხება ჩემს აზრს, მე „ოქროს ბურთით“ ისეთ დიდ პიროვნებას დავაჯილდოვებდი, როგორიც პაოლო მალდინია.

— „მილანის“ წარმატებებს ამ ბოლო დროს უკრაინის ნაკრების წარმატებებიც დაემატა როგორ ფიქრობთ, მოხვდება გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატზე და რა როლი ითამაშეს „ოქროს ბურთის“ მოპოვებაში თქვენმა თანაგუნდელებმა ნაკრებში?

— მე იტალიაში ვცხოვრობ და ვთამაშობ, მაგრამ სამშობლოს არასდროს ვივიწყებ. ძალიან მიხარია, რომ ჩვენი ეროვნული გუნდი ჯგუფში ლიდერობს და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის კარგი შანსი აქვს. ცხადია, „ოქროს ბურთში“ ჩემი სანაკრებო თანაგუნდელების დიდი დამსახურებაც არის.

— არადა, ხანდახან ისმის, რომ შევჩენკოსთვის „მილანი“ უკრაინაზე მნიშვნელოვანია. ამბობენ, რომ ნაკრებში ბოლომდე არ იხარჯებით და მწვრთნელებსაც ეჩხუბებით. ამაზე რას იტყოდით?

— სამწუხაროა, რომ ვიღაც ასეთ ჭორებს ავრცელებს. მე ნაკრებში დიდი სიამოვნებით ვთამაშობ და არც მწვრთნელებთან ვჩხუბობ, ხოლო „მილანში“ ძალიან კარგად იციან, რა მნიშვნელოვანიც არის ჩემთვის უკრაინის გუნდი და უპრობლემოდ მიშვებენ მის თამაშებზე.

— გარედან რჩება შთაბეჭდილება, რომ უკრაინის ნაკრების გასახდელში გაცილებით გავლენიანი ადამიანი ბრძანდებით, ვიდრე „მილანისაში“...

— „მილანში“ ისეთი გამოცდილი და ყველაფრის მნახველი ხალხი თამაშობს, როგორებიც მალდინი და ალესანდრო კოსტაკურტა არიან. არიან სხვებიც, ამიტომაც არ არის არანაირი საჭიროება იმისა, რომ გასახდელში შევჩენკომ თავი გამოიდოს. ნაკრებში კი ცოტა სხვა ვითარებაა, იქ ჩემს მხრებზე ძალიან დიდი პასუხისმგებლობა იდება, იქ მე არ ვარ ის, ვისაც გოლის გატანის მეტი არაფერი ევალება. მე კაპიტანი გახლავართ და პარტნიორებთან როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ მუდმივად სასარგებლო ურთიერთობა უნდა მქონდეს. ნაკრებში გამოჩნდნენ ახალგაზრდა ბიჭები, რომელთაც, ვალდებული ვარ, დავეხმარო. ჩემი კარიერიდან მთავარი დასკვნა ის არის, რომ წარმატების მიღწევა მხოლოდ სწავლითა და ურთიერთდახმარებით შეიძლება.

— უკრაინაში რთული პოლიტიკური ვითარებაა და თქვენმა სახელმაც ამა თუ იმ კონტექსტში გაიელვა.

— მე პოლიტიკოსი არ ვარ და პოლიტიკაზე საუბარი არ მინდა. მით უფრო, არ მინდა მასში მონაწილეობა. რაც ჩემს სამშობლოში ხდება, ძალიან მაღელვებს და, უპირველეს ყოვლისა, მაღელვებს უბრალო ადამიანების ბედი, რომელთაც, როგორც წესი, ყველაზე მეტი ხვდებათ ხოლმე. მე ყოველთვის ხალხისთვის ვთამაშობ და არ მავიწყდება, რომ ჩემს ხალხს წარმოვადგენ და ჩემი საქმით მათი ღალატის უფლება არ მაქვს. როგორც ფეხბურთელი — და არა პოლიტიკოსი — მეტს ვერაფერს ვიტყვი.

— თქვენ ყოველთვის იმ კაცის



## ოქროს ბურთი 2004

| ფეხბურთელი | კლუბი | I | II | III | IV | V | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ანდრეი შევჩენკო | მილანი | 27 | 5 | 5 | 2 | 1 | 175 |
| დეკო სოუზა | ბარსელონა | 10 | 13 | 9 | 4 | 2 | 139 |
| რონალდინიო | ბარსელონა | 9 | 13 | 7 | 4 | 7 | 133 |
| ტიერი ანრი | არსენალი | 3 | 6 | 6 | 10 | 3 | 80 |
| თეოდოროს ზაგორაკისი | ბოლონია | 3 | 2 | 3 | 3 | 6 | 44 |
| ადრიანო | ინტერი | - | 3 | 2 | 2 | 5 | 27 |
| პაველ ნედვედი | იუვენტუსი | - | - | 4 | 4 | 3 | 23 |
| უეინ რუნი | მანჩესტერი | - | 1 | 3 | 2 | 5 | 22 |
| რუუდ ვან ნისტელროი | მანჩესტერი | - | - | 4 | 2 | 2 | 18 |
| რიკარდუ კარვალიუ | ჩელსი | - | 2 | 2 | 2 | - | 18 |
| ანგელოს ხარისტიასი | ვერდერი | - | 1 | 1 | 2 | 4 | 15 |
| მილან ბაროში | ლივერპული | - | 1 | - | 3 | 1 | 11 |
| კრისტიანო რონალდო | მანჩესტერი | - | 1 | 1 | 2 | - | 11 |
| ზლატან იბრაჰიმოვიჩი | იუვენტუსი | - | - | - | 3 | 2 | 8 |
| კაკა | მილანი | - | 1 | - | 1 | 1 | 7 |
| სამუელ ეტოო | ბარსელონა | - | 1 | 1 | - | - | 7 |
| ჯანლუიჯი ბუფონი | იუვენტუსი | - | - | 1 | - | 2 | 5 |
| დიდიე დროგბა | ჩელსი | - | - | 1 | - | 2 | 5 |
| ტრაიანოს დელასი | რომა | - | 1 | - | - | 1 | 5 |
| ფერნანდო მორიენტესი | რეალი | - | 1 | - | - | 1 | 5 |
| ფრენკ ლამპარდი | ჩელსი | - | - | 1 | 1 | - | 5 |
| ლუიშ ფიგუ | რეალი | - | - | - | 2 | - | 4 |
| ზინედინ ზიდანი | რეალი | - | - | 1 | - | - | 3 |
| ანტონის ნიკოპოლიდისი | პანათინაიკოსი | - | - | - | - | 2 | 2 |
| რუბენ ბარახა | ვალენსია | - | - | - | 1 | - | 2 |
| ლუდოვიკ ჟიული | ბარსელონა | - | - | - | 1 | - | 2 |
| მანიშე რიბეირუ | პორტუ | - | - | - | 1 | - | 2 |
| პაოლო მალდინი | მილანი | - | - | - | - | 1 | 1 |
| ვისენტე როდრიგესი | ვალენსია | - | - | - | - | 1 | 1 |

*შენიშვნა: I ადგილი — 5 ქულა, II — 4, III — 3, IV — 2, V — 1*



ეროვნული ბიბლიოთეკა

# France Football



შთაბეჭდილებას ტოვებთ, რომელიც მიღწეულით არ კმაყოფილდება. მანქანა ხომ არ ხართ, დასვენება არ გინდათ?

— ცხადია, რობოტი არ ვარ, მაგრამ გაჩერებაც დაუშვებელია. აი, მე მოვიგე ჩემპიონთა ლიგა, სკუდეტო, თასები, გავხდი „ოქროს ბურთის" მფლობელი, მაგრამ როგორ უნდა დავკმაყოფილდე ამით, თუ ყოველთვის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშზე ვოცნებობდი?· ჩვენი ნაკრები ხომ ისტორიულ მიზანთან ძალიან ახლოს არის. მერედა, არც „მილანთან" ერთად შეიძლება გაჩერება. შაბათს უმნიშვნელოვანესი მატჩი გვაქვს „იუვენტუსთან", ასე რომ, წინ ბევრი საქმეა. საფეხბურთო კარიერა არც ისე ხანგრძლივია, პაუზების უფლება რომ გქონდეს.

## ევროპის 2004 წლის სიმბოლური ნაკრები



ბუფონი (იუვენტუსი)



დელასი (რომა)



რ. კარვალიუ (პორტუ, ჩელსი)



მალდინი (მილანი)



ზაგორაკისი (აეკ, ბოლონია)



დეკო (პორტუ, ბარსელონა)



ნედვედი (იუვენტუსი)



რონალდინიო (ბარსელონა)



შევჩენკო (მილანი)



ანრი (არსენალი)



ადრიანო (ინტერი)

### ომარ სივორ,1961 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი

წლეულს ჯილდო ანდრეი შევჩენკოს ეკუთვნოდა. ის ბრწყინვალე თავდამსხმელია, ბევრი გოლი გააქვს, თან სადმე კი არა, სერია A-ში. უკეთეს კანდიდატურას ვერ იპოვნიდით.

### პაოლო როსი, 1982 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი

მხოლოდ შევჩენკო! ნახეთ, რას აკეთებს ეს ბიჭი მოედანზე! ფორვარდისთვის მთავარი გოლის გატანაა და ისიც ამითაა დაკავებული.

### ჟორჟ ვეა, 1995 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი

შევჩენკო ძალიან ძლიერია. თუ ის არა, მაშ ვინ უნდა გამხდარიყო საუკეთესო? იტალიაში ბომბარდირობა ძალიან ძნელია და მით უფრო ძნელია ორჯერ ბომბარდირობა. შევჩენკომ ეს შეძლო. ახლა კი ისევ გოლები გააქვს. მეტი რა უნდა გაეკეთებინა ჯილდო რომ მოეგო?

### პაოლო მალდინი,„მილანი"

შევჩენკო ფენომენალური ფეხბურთელია. ჩახედეთ გოლების სტატისტიკას. მანამდე კი მას კიევის „დინამოს" შემადგენლობაში გაჰქონდა. ერთი ხანობა, „ოქროს ბურთის" მოპოვებაში მას უკრაინის ნაკრები ვერ ეხმარებოდა, მაგრამ ამ წელიწადს შეძლო. ანდრეის პოპულარობა და ნიჭი ვერ აფუჭებს. ის ისეთივე სასიამოვნო ადამიანია, როგორც იტალიაში ჩამოსვლის დღეს იყო.

### რობერტო ბაჯო , 1993 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი

შევჩენკო ბოლო წლებში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. მას მხოლოდ ბევრი გოლი კი არ გააქვს, გადამწყვეტი გოლები გააქვს, ეს კი ორმაგად ფასეულია.

### ადრიანო,„ინტერი"

შევჩენკოს დიდებული წელიწადი ჰქონდა. ის „ოქროს ბურთის" ღირსია.

### დავიდ ტრეზეგე, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, „იუვენტუსი"

უყოყმანოდ ვემხრობი შევჩენკოს. თან, რაოდენ კარგი ფეხბურთელიცაა, იმდენად კარგი პიროვნებაა.

### პაველ ნედვედი, 2003 წლის „ოქროს ბურთის" მფლობელი

შევჩენკო იდეალური კანდიდატია. აგერ უკვე რამდენი წელიწადია იტალიასა და ევროპაში ბრწყინვალედ გამოდის. ის ბრწყინვალე ფეხბურთელი და ადამიანია, რომელიც ბევრ საქველმოქმედო პროექტში მოღვაწეობს.

### მარჩელო ლიპი, იტალიის ნაკრების მწვრთნელი

ფიფას გამოკითხვაში პირველ ადგილზე ანდრეი შევჩენკო ჩავწერე.

## „ოქროს ბურთის" ყველა მფლობელი 1956-2004

| | | | |
|---|---|---|---|
| 1956 | სტენლი მეტიუზი | ბლეკპული | ინგლისი |
| 1957 | ალფრედო დი სტეფანი | რეალი | არგენტინა/ესპანეთი |
| 1958 | რაიმონ კოპა | რეალი | საფრანგეთი |
| 1959 | ალფრედო დი სტეფანო | რეალი | არგენტინა/ესპანეთი |
| 1960 | ლუის სუარესი | ბარსელონა | ესპანეთი |
| 1961 | ომარ სივორი | იუვენტუსი | იტალია |
| 1962 | იოჟეფ მასოპუსტი | დუკლა | ჩეხოსლოვაკია |
| 1963 | ლევ იაშინი | დინამო მოსკოვი | სსრკ |
| 1964 | დენის ლოუ | მანჩესტერ იუნაიტედი | შოტლანდია |
| 1965 | ეუსებიო | ბენფიკა | პორტუგალია |
| 1966 | ბობი ჩარლტონი | მანჩესტერ იუნაიტედი | ინგლისი |
| 1967 | ფლორიან ალბერტი | ფერენცვაროში | უნგრეთი |
| 1968 | ჯორჯ ბესტი | მანჩესტერ იუნაიტედი | ჩრდ. ირლანდია |
| 1969 | ჯანი რივერა | მილანი | იტალია |
| 1970 | გერდ მიულერი | ბაიერნი | გფრ |
| 1971 | იოჰან კრუიფი | აიაქსი | ჰოლანდია |
| 1972 | ფრანც ბეკენბაუერი | ბაიერნი | გფრ |
| 1973 | იოჰან კრუიფი | ბარსელონა | ჰოლანდია |
| 1974 | იოჰან კრუიფი | ბარსელონა | ჰოლანდია |
| 1975 | ოლეგ ბლოხინი | დინამო კიევი | სსრკ |
| 1976 | ფრანც ბეკენბაუერი | ბაიერნი | გფრ |
| 1977 | ალან სიმონსენი | მიონხენგლადბახი | დანია |
| 1978 | კევინ კიგანი | ჰამბურგი | ინგლისი |
| 1979 | კევინ კიგანი | ჰამბურგი | ინგლისი |
| 1980 | კარლ ჰაინც რუმენგე | ბაიერნი | გფრ |
| 1981 | კარლ ჰაინც რუმენგე | ბაიერნი | გფრ |
| 1982 | პაოლო როსი | იუვენტუსი | იტალია |
| 1983 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1984 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1985 | მიშელ პლატინი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1986 | იგორ ბელანოვი | დინამო კიევი | სსრკ |
| 1987 | რუუდ გულიტი | მილანი | ჰოლანდია |
| 1988 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1989 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1990 | ლოთარ მათეუსი | ინტერი | გფრ |
| 1991 | ჟან პიერ პაპენი | მარსელი | საფრანგეთი |
| 1992 | მარკო ვან ბასტენი | მილანი | ჰოლანდია |
| 1993 | რობერტო ბაჯო | იუვენტუსი | იტალია |
| 1994 | ხრისტო სტოიჩკოვი | ბარსელონა | ბულგარეთი |
| 1995 | ჟორჟ ვეა | მილანი | ლიბერია |
| 1996 | მათიას ზამერი | დორტმუნდი | გერმანია |
| 1997 | რონალდო | ინტერი | ბრაზილია |
| 1998 | ზინედინ ზიდანი | იუვენტუსი | საფრანგეთი |
| 1999 | რივალდო | ბარსელონა | ბრაზილია |
| 2000 | ლუიშ ფიგუ | რეალი | პორტუგალია |
| 2001 | მაიკლ ოუენი | ლივერპული | ინგლისი |
| 2002 | რონალდო | ინტერი, რეალი | ბრაზილია |
| 2003 | პაველ ნედვედი | იუვენტუსი | ჩეხეთი |
| 2004 | ანდრეი შევჩენკო | მილანი | უკრაინა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ...და ან ცაზე ვარსკვლავები



# ოლეგ ბლოხინი

# შენ ხომ მაინც ითამაშებ

## ბლოხინმა დერიუგინაც გაიტანა

*ოლეგ ბლოხინი მეორე საბჭოელი ფეხბურთელია, ვისაც ევროპის უმთავრესი საფეხბურთო ჯილდო, „ფრანს ფუტბოლის“ „ოქროს ბურთი“ ერგო.*

*ბლოხინზე ამბებს წალეკილი ჰქონდა საბჭოთა სპორტული პრესა, მაგრამ, სიმართლე გითხრათ, ის ძველი სტატიები ძალიან მოსაწყენი სტატიებია, მართლა საინტერესო ამბავს ვერ ამოიკითხავ. დრო იყო ეგეთი, როცა ყველაფერი ერთ თარგ ზე უნდა ყოფილიყო გამოჭრილი და რაიმე პირადული ამბების ხსენება არ შეიძლებოდა.*



ამ ბოლო ხანს ოლეგ ბლოხინის ოჯახზე ასეთი მშრალი ინფორმაცია ამოვიკითხეთ: მამა — ვლადიმირ ბლოხინი, შრომითი რეზერვების საზოგადოების კიევის საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; დედა — ეკატერინა ადამენკო, კიევის სამშენებლო ინსტიტუტის სამრეწველო სამოქალაქო მშენებლობის ფაკულტეტის დეკანის მოადგილე; შვილი — ირინა ბლოხინა; ძმა — ნიკოლაი ბლოხინი.

ჰოდა, ამ უმშრალესი ინფორმაციიდან უნდა დავასკვნათ, რომ ოლეგ ბლოხინი ცოლს გაყრილია.

ბლოხინის ცოლი კი, ირინა დერიუგინა გახლდათ, განთქმული მხატვრულად ტანმოვარჯიშე, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი, ვინც თავის დროზე ლამის ნახევარ საბჭოთა კავშირს უყვარდა.

ირინას კი, ამბობენ, ბლოხინი არ უყვარდაო, მაგრამ ფეხბურთელმა მაინც თავისი გაიტანა და ცოლად შეირთოო. რას გაიგებ, საბჭოური პრესა ამაზე აბა, როგორ დაწერდა.

ბლოხინის ბავშვობაზე კი ის არის ცნობილი, რომ ბევრისგან განსხვავებით, სპორტის უამრავ სახეობაზე არ უვლია და მისი პირველი და უკანასკნელი არჩევანი ფეხბურთი იყო. თუმცა დედამისი, თავის დროზე ცნობილი მორბენალი ძალიან გულდაწყვეტილი დარჩენილა შვილი მძლეოსნობას რომ არ გაჰყვა.

ბლოხინის პირადი რეკორდები კი ნაღდად მოითხოვს ჩამოთვლას: მას ყველაზე მეტი, 112 მატჩი აქვს ჩატარებული საბჭოთა კავშირის ნაკრებში; მას ყველაზე მეტი, 47 სანაკრებო გოლიც აქვს გატანილი; საბჭოეთის ჩემპიონატში ყველაზე მეტი, 432 მატჩი აქვს ჩატარებული და ყველაზე მეტი გოლიც, 211 აქვს გატანილი; თხუთმეტჯერ — ყველაზე მეტჯერ დაასახელეს 33 საუკეთესოს შორის და მათგან 13-ჯერ პირველ ნომრად თავის პოზიციაზე, რაც ასევე საუკეთესო შედეგია.



გასაგებია, რომ ფეხბურთელი რომელიღაც ერთი რეკორდის მფლობელია, მაგრამ როცა ერთი ფეხბურთელი ფლობს ყველა რეკორდს, განსაკუთრებულ შემთხვევასთან უნდა გვქონდეს საქმე.

განსაკუთრებულობაში, ცხადია, განსაკუთრებული ნიჭი იგულისხმება. შეიძლება, საშუალო ნიჭის მქონე ადამიანმა ბევრს მიაღწიოს, მაგრამ ამდენს, ბლოხინმა რომ მიაღწია, ნაღდად ვერ შეძლებს.

მაგრამ ისიც არის, რომ მხოლოდ ნიჭიც არ კმარა, შრომისმოყვარეობაც თუ არ ახლავს თან.

ბლოხინზე იხსენებენ: თამაშისწინა შეკრებები მუდამ ერთნაირად იწებოდა-ხოლმე, ბლოხინი მწვრთნელთან მიდიოდა და წუწუნს იწყებდა, რომ მუხლი ტკიოდა, სახსარი ტკიოდა, რომ საერთოდ რადიკულიტი აწუხებდა და ასე შემდეგ. თავიდან მას უსმენდნენ, წუხდებოდნენ და ექიმთან აგზავნიდნენ. მერე კი ასეთი რამ აღმოაჩინეს: ბლოხინს რამე ტკიოდა თუ არა, მოედანზე მაინც ბოლომდე იხარჯებოდა და იოლ გამოსავალს მიაგნეს. ჩივილისას პასუხობდნენ, შენ ხომ მებრძოლი ხარ, შენ ხომ მაინც გახვალ მოედანზე და თავს დადებ, ვიცით რომ გტკივა, მაგრამ შენ მაინც უნდა ითამაშო, უშენოდ ვერ მოვიგებთ.

ბლოხინიც გადიოდა და იბრძოდა, ეს მატჩისწინა წუწუნი კი ბავშვურ თამაშს ჰგავდა. მაგრამ ფაქტია, რომ საწვრთნელ ბაზაზე მისული ბლოხინი პირველ რიგში ექიმის კაბინეტში შედიოდა.

ბოლოს კი ისევ ძველი საბჭოური პრესიდან ამოკრეფილ მშრალ ინფორმაციას დავჯერდეთ: ბლოხინმა ორჯერ ითამაშა ფიფას ნაკრებში. ჯერ დორტმუნდის „ბორუსიას“ წინაალმდეგ 1979 წელს, მომდევნო სეზონში კი „ბარსელონასთან“. ამის მერე უეფას ნაკრებში იყო მიწვეული ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან მატჩისას და ერთხელაც ევროპისა და დანარჩენი მსოფლიოს ნაკრებთა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა.

**ირაკლი ნინიძე**






*უკრაინის ნაკრებს დღეს მსოფლიოში ბადალი არ ჰყავს და ეს ამბავი ეგებ კიდევ დიდხანს გაგრძელდეს. უბადლობა კი აი, რაში მდგომარეობს: უკრაინა ერთადერთია მსოფლიოში, რომლის ეროვნული გუნდის მწვრთნელიც და ფეხბურთელიც „ოქროს ბურთის“ მფლობელები არიან.*

*და როცა ჟურნალისტებმა ეს ფაქტი ოლეგ ბლოხინს ამცნეს, მის პასუხი ასეთი იყო:*

— სერიოზულად? ჩემთვის ეს აღმოჩენაა. თუმცა ჩემი და შევჩენკოს ურთიერთობაზე ეს ფაქტი გავლენას არ იქონიებს.

**— როგორ შეხვდით შევჩენკოს ევროპაში საუკეთესოდ დასახელებას?**

— მშვიდი კმაყოფილებით. მშვიდი იმიტომ, რომ მისი გამარჯვება აბსოლუტურად ლოგიკური და კანონზომიერია. ანუ, ჩავთვალე, რომ ეს ასეც უნდა მომხდარიყო. მეტიც, ვფიქრობ, რომ ანდრეი შარშანაც და შარშანწინაც იმსახურებდა საუკეთესოდ დასახელებას. და იცით, რატომ? მხოლოდ იმიტომ არა, რომ მას ბევრი გოლი გააქვს, ეს, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ მთავარი მაინც სტაბილურობაა — როცა წლების მანძილზე სტაბილურად კარგად თამაშობ, ესე იგი, მართლა დიდი ფეხბურთელი ხარ.

**— როცა შევჩენკოს საუკეთესოდ დასახელების მიზეზებზე ლაპარაკობენ, მის მილანურ მიღწევებზე ამახვილებენ ყურადღებას. თვლით თუ არა, რომ შევჩენკოს სანაკრებო მიღწევებზეც უნდა ითქვას?**

— არა თუ ვთვლი, დაჟინებით მოვითხოვ კიდეც, რომ ესეც ხაზგასმით აღინიშნოს. სწორედ მისმა კარგმა თამაშმა განაპირობა, დღეს ჩვენს შესარჩევ ჯგუფში ლიდერები რომ ვართ.

**— ხომ არ ფიქრობთ, რომ ასეთმა საყოველთაო აღიარებამ შევჩენკოზე შეიძლება უარყოფითად იმოქმედოს?**

— ასე ფიქრი, დარწმუნებული ვარ, გულუბრყვილობაა. ის უკვე 28 წლისაა და ჩამოყალიბებული ფეხბურთელია. ის აბსოლუტურად ადექვატურად აფასებს იმას, რაც მის გარშემო ხდება. თუ მაინცდამაინც შედარებაზე მიდგა საქმე, მე „ოქროს ბურთი“ 23 წლისამ მივიღე და თან სულ სხვა გარემოებაში.

**— რა გარემოებებს გულისხმობთ?**

— მხოლოდ იმას, რომ სხვა დრო იყო. მაშინ ჩვენ საბჭოთა კავშირში, ასე ვთქვათ, დახურულ საზოგადოებაში ვცხოვრობდით. მაშინ ჩემი საუკეთესოდ აღიარება ყველასთვის სრული მოულოდნელობა იყო. ძალიან ძნელი აღმოჩნდა საყოველთაო ყურადღების ცენტრში ყოფნა. ჩემგან ყოველი მატჩისას რაღაც გმირობას მოითხოვდნენ, რაც საბოლოო ჯამში ფსიქიკაზე მოქმედებდა. საშინელი წნეხის ქვეშ ვიყავი. დიდი დრო დამჭირდა, ცხოვრების ძველებურ რიტმში რომ დავბრუნებულიყავი.

შევჩენკო კი სხვანაირ სიტუაციაშია. ერთი, რომ ის უკვე 28 წლისაა. მეორე, რომ ის საუკეთესო ფეხბურთელად ევროპაში, სერია A-ში ჩამოყალიბდა, სადაც უკვე დიდი ხანია შეეგუა საყოველთაო ყურადღებას და თუ გნებავთ, თაყვანისცემას.

ეროვნული ბიბლიოთეკა



პაპე ბუბა დიოპის ამ დარტყამ „მანჩესტერს“ ქულა დაკარგვინა

# დარტყმა გარდერობისგან

**ინგლისი**

პრემიერლიგა. XVII ტური

**ფულემი 1:1 მანჩესტერი**

0:1 სმიტი (33), 1:1 დიოპი (87)

ფულემი: ვან დერ სარი, როსენიორი, პირსი, რემანი, ბოკანეგრა, მალბრანკი (კ. ჯონი 83), ლეგვინსკი (რაძინსკი 74), პემბრიჯი, პ.ბ. დიოპი, ენდი კოული, მაკბრაიდი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

მანჩესტერ იუნ: კეროლი, გ. ნევილი, რ. ფერდინანდი, მ. სილვესტრი, ჰაინცე, კ. რონალდო, როი კინი, სქოულზი, გიგზი, რუნი, ა. სმიტი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

გაფრთხილება: დიოპი, რაძინსკი, სილვესტრი

მსაჯი: დოუდი

21 940 მაყურებელი

ეს რა ლაფი დაასხა თავს პაპე ბუბა დიოპმა „მანჩესტერს“, ეს რა კვანტი დაუდო. „ჩელსისა“ და „არსენალის“ ფრეებით შეგულიანებული „მანჩესტერი“ 87-ე წუთამდე უგებდა ლონდონში „ფულემს“ და მერე ორი ქულა დაკარგა.

ლამის ორმეტრიანმა დიოპმა, რომელსაც „მანჩესტერელები“ დაცინვით გარდერობს ეძახდნენ, 35 იარდიდან დაურტყა როი კეროლს და სტუმრები ხახამშრალი დატოვა.

ფერგიმ თქვა: „მაგრად დავწვებდით. ძალიან კარგი, ფანტასტიკური თამაში იყო, მაგრამ მეტოქე ვერ ჩავკალით. როცა ამას ვერ ახერხებ, ასე დაგემართება“.

მანჩესტერელთაგან ალან სმიტმა გაიტანა პირველ ტაიმში, რომელიც სტუმრებმა საუცხოოდ ითამაშეს.

ამ ფრის შემდეგ „მანჩესტერი“ 9 ქულით ჩამორჩება ლიდერ „ჩელსის“ და ახლა იმაზე ნანობს, თუ რატომ გაარტყეს „ფულემის“ კარის ძელს ბურთი როი კინმა და უეინ რუნიმ. „ფულემის“ ბოსმა კრის კოულმენმა კი განაცხადა: „პირველ ტაიმში ნამდვილი, ძველი „მანჩესტერი“ იყო, წინ რომ ვერ დაუდგებოდი. ჩვენ იღბალმაც არ მიგვატოვა. ისე, ჩემპიონი „ჩელსი“ მგონია“.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩელსი | 17 | 12 | 4 | 1 | 33:8 | 40 |
| ევერტონი | 17 | 11 | 3 | 3 | 21:14 | 36 |
| არსენალი | 17 | 10 | 5 | 2 | 44:22 | 35 |
| მანჩესტერი | 17 | 8 | 7 | 2 | 23:11 | 31 |
| მიდლსბრო | 17 | 8 | 5 | 4 | 29:22 | 29 |
| ასტონ ვილა | 17 | 6 | 7 | 4 | 22:19 | 25 |
| ლივერპული | 16 | 7 | 3 | 6 | 24:18 | 24 |
| ჩარლტონი | 17 | 7 | 3 | 7 | 19:27 | 24 |
| ბოლტონი | 17 | 6 | 5 | 6 | 26:25 | 23 |
| პორტსმუთი | 16 | 6 | 4 | 6 | 22:23 | 22 |
| ტოტენჰემი | 17 | 6 | 4 | 7 | 16:17 | 22 |
| ნიუკასლი | 17 | 5 | 6 | 6 | 28:32 | 21 |
| სიტი | 17 | 5 | 5 | 7 | 21:18 | 20 |
| ფულემი | 17 | 5 | 3 | 9 | 19:28 | 18 |
| ბირმინგემი | 17 | 3 | 8 | 6 | 14:19 | 17 |
| ნორვიჩი | 17 | 2 | 9 | 6 | 17:28 | 15 |
| კრ. პალასი | 17 | 3 | 5 | 9 | 17:24 | 14 |
| ბლექბერნი | 17 | 2 | 8 | 7 | 16:30 | 14 |
| საუთჰემპტონი | 17 | 2 | 7 | 8 | 17:26 | 13 |
| ვესტ ბრომვიჩი | 17 | 1 | 7 | 9 | 15:32 | 10 |



# ჯერარდმა ანელკა ინატრა

**სტივენ ჯერარდს** სურს, რომ „ლივერპულმა“ ჭირვეული ნიკოლა ანელკა დაიბრუნოს.

ფრანგი ფორვარდი ორი წლის წინ, ჟერარ ულიეს მწვრთნელობისას თამაშობდა „ლივერპულში“. ანელკა მაშინ პსჟ-მ ათხოვა პრემიერლიგურ კლუბს, მაგრამ ულიემ თანამემამულესთან კონტრაქტის გაფორმება არ ისურვა და „მანჩესტერ სიტის“ გადაულოცა. სიტელებმა პსჟ-ს 13 მილიონი გირვანქა გადაუხადეს. ანელკა კი ათამაშდა, მაგრამ ამ შემოდგომაზე კევინ კიგანთან ურთიერთობა წაუხდა. ფორვარდი რამდენჯერმე ძირითად შემადგენლობაში ვერ მოხვდა, რის გამოც წუწუნი დაიწყო და თქვა, „მანჩესტერ სიტი“ აღარ მინდა, დიდ კლუბში თამაში მწადიაო.

გასულ უქმეებზე „ტოტენჰემთან“ შინ წაგებული მატჩის შემდეგ შეცვლაზე შესულ ნიკოლა ანელკას ფანები ბუბუნით შეხვდნენ, კიგანმა კი განაცხადა, ფრანგი ქომაგებს გაუუცხოვდაო.

„მანჩესტერ სიტის“ ამჟამად 62 მილიონი გირვანქა ვალი აქვს. მწვრთნელს ზამთრის სატრანსფერო ფანჯრისას ახალი ფეხბურთელების შესაძენად ფული აღარ მოეძევება და ამიტომ შესაძლებელია, ფრანგი მეგოლე „ლივერპულს“ მიჰყიდოს. „ლივერპულს“ შეტევაში ძალიან უჭირს, რადგან ფეხმოტეხილი ჯიბრილ სისე ფეხბურთს ერთი წლით დაემშვიდობა. მილან ბაროში ჩვეულ ფორმაში არაა და სტივენ ჯერარდმაც ამიტომ გაიხსენა ანელკა. „მახსოვს პრემიერლიგის პირველობისთვის ვიბრძოდით და შინ „ევერტონთან“ ვერ მოვიგეთ. მაშინ ვიგრძენი, რომ ანელკა გვაკლდა. ის ჩვენთვის დიდი ძალა იყო და "ევერტონთან“ ძალიან დაგვეხმარებოდა. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია, ვისთანაც მითამაშია“ — თქვა ჯერარდმა.



**ვაჟა ხუციშვილი**

# მტერი მოვიდა





# სერ ალექსი: ბრაიან ბარვიკი ლივერპულის ფანი და ნაბიჭვარია

**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის ახალი პასუხისმგებელი შეფი ბრაიან ბარვიკი „მანჩესტერ იუნაიტედის“ მოძულე ყოფილა.

BBC-ის ყოფილი გენერალური დირექტორი და ასევე „მანჩესტერის“ ყოფილი დირექტორი გრეგ დაიკი ამბობს, რომ ერთხელ ალექს ფერგიუსონმა ბარვიკს ნაბიჭვარი უწოდა.

დაიკმა მედიას უამბო: „ბარვიკი ბიჭობიდან „ლივერპულის“ ფანია. „მანჩესტერი“ არ უყვარს. სხვანაირად რომ ვთქვათ, სძულს“.

1999 წელს, როცა ბარვიკი BBC-ში მუშაობდა, ის სწორედ მაშინ გადავიდა „აი-ტი-ვის“ არხზე, როცა BBB-სიმ წლის საუკეთესოდ სამი თასის მომგები „მანჩესტერი“ დაასახელა.

სერ ალექსს მაშინ დაურეკავს დაიკისთვის და მადლობა უთქვამს, თუმც ამ უკანასკნელს გაჰკვირვებია, აბა, წლის ლაურეატი ვინ უნდა ყოფილიყოო.

„არა — მიუგია სერ ალექსს — ეგ ნაბიჭვარი ბარვიკი რომ მაგ არხზე ყოფილიყო, ჩვენ ვერასოდეს მოვიგებდით ამ ჯილდოს“.

მერე დაიკს ბარვიკისთვის უამბნია ასე და ასეო. „უსინდისობაა— უთქვამს ბარვიკს. მგონი, იხუმრაო, ჰყვება დაიკი.

**ირაკლი გამყრელიძე**

# სუნესს გინება არ აპატიეს



**ფეხბურთის** ასოციაციამ ერთი მატჩით და 10 ათასი გირვანქით დააჯარიმა „ნიუკასლის“ ბოსი გრემ სუნესი, რომელსაც 3 იანვარს „ვესტ ბრომვიჩთან“ მატჩზე ტრიბუნაზე იჯდება.

სუნესი იმიტომ დაისაჯა, რომ ნოემბერში „ფულემთან“ მატჩისას, რომელიც მისმა გუნდმა 1:4 წააგო, სუნესმა მსაჯ ჰოვარდ უებს აგინა, პენალტი რატომ არ მოგვეციო.

**ირაკლი გამყრელიძე**

**იტალია**

სერია B. XVII ტური

**კროტონე 2:2 ტრევიზო**

1:0 პორკია (14), 1:1 ჩენტი (55), 1:2 დალ აკუა (62), 2:2 პორკია (66)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჯენოა | 17 | 10 | 6 | 1 | 36:15 | 36 |
| ემპოლი | 17 | 10 | 4 | 3 | 28:14 | 34 |
| ტორინო | 17 | 9 | 4 | 4 | 22:14 | 31 |
| პერუჯა | 17 | 8 | 5 | 4 | 25:17 | 29 |
| ვერონა | 17 | 7 | 5 | 5 | 30:22 | 26 |
| პიაჩენცა | 17 | 8 | 2 | 7 | 24:25 | 26 |
| ასკოლი | 17 | 7 | 5 | 5 | 20:21 | 26 |
| ტრევიზო | 17 | 6 | 5 | 6 | 20:22 | 23 |
| ტრიესტინა | 17 | 6 | 5 | 6 | 22:25 | 23 |
| ვიჩენცა | 17 | 7 | 1 | 9 | 26:26 | 22 |
| კატანია | 17 | 5 | 7 | 5 | 17:21 | 22 |
| სალერნიტანა | 17 | 6 | 4 | 7 | 22:28 | 22 |
| არეცო | 17 | 4 | 9 | 4 | 25:21 | 21 |
| ალბინოლეფე | 17 | 5 | 6 | 6 | 22:21 | 21 |
| ჩეზენა | 17 | 5 | 6 | 6 | 23:25 | 21 |
| ტერნანა | 17 | 5 | 5 | 7 | 16:21 | 20 |
| მოდენა | 17 | 7 | 2 | 8 | 18:20 | 19 |
| პესკარა | 17 | 4 | 6 | 7 | 17:24 | 18 |
| ბარი | 17 | 4 | 6 | 7 | 14:18 | 17 |
| კატანძარო | 17 | 4 | 4 | 9 | 17:28 | 16 |
| კროტონე | 17 | 3 | 6 | 8 | 17:24 | 15 |
| ვენეცია | 17 | 3 | 5 | 9 | 13:22 | 14 |

„მოდენას“ დაკლებული აქვს 4, „ბარის“ 1 ქულა

სარბიელი
სამუშაოდ
იწვევს
გაზეთში ნამუშევარ
დამკაბადონებელს
მიღება
მოხდება
შერჩევით
მსურველებმა
მოგვაკითხეთ
„სარბიელის“
რედაქციაში,
ალექსანდრე ყაზბეგის
გამზირი 42,
II კორპუსი,
IV სართული,
15-დან 18 საათამდე.
ცნობებისთვის დარეკეთ
39-48-29, 38-11-14

# მანჩინი უბრალოა

## მორატი რეკობას გადაეფარა



„ინტერის“ პატრონი მასიმო მორატი გუნდის მორიგ ფრეს ფეხბურთელებს აბრალებს და არა მწვრთნელს, რობერტო მანჩინის. მოგეხსენებათ, „შავ-ლურჯებმა“ კვირას ბოლო 30 წუთით უმცირესობაში დარჩენილ „სიენასთან“ სეზონის მეთორმეტე ფრე ითამაშეს, მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, მანჩომ საყვედურიც კი არ მიიღო.

„სიენაში მოგზაურობას ჩვენი ბოლოდროინდელ წარმატებათა სერია უნდა გაეგრძელებინა, მაგრამ როგორც ნახეთ, ეს არ მოხდა — განაცხადა ხსენებული 2:2-ის შემდეგ მორატიმ — მე დავინახე შეცდომები დაცვაში. ეს ისეთი შეცდომები იყო, როგორსაც არ უნდა უშვებდნენ. ჩვენს ფეხბურთელებს მეტი სიფხიზლე და წინდახედულობა მართებთ. მოვლენები ისე არ უნდა განვითარებულიყო, როგორც განვითარდა. თუნდაც ის პენალტი გავიხსენოთ, ადრიანომ მეორე ტაიმში რომ გააცუდა“.

ამდენი ფრისა და ჯახირის შედეგად „ინტერი“ ლიდერს, „იუვენტუსს“ 17 ქულით ჩამორჩება და ეს მიუხედავად იმისა, რომ ერთხელაც არ დამარცხებულა.

შეგახსენებთ, რომ „ინტერს“ აქვს სხვა პრობლემებიც. კერძოდ, ურუგვაელ ვარსკვლავს, ალვარო რეკობას მწვრთნელთან გაურთულდა ურთიერთობა. მიზეზი: მანჩინი რეკობას იშვიათად აძლევს თამაშის საშუალებას. ერთი სიტყვით, ცნობილი გახდა, რომ მანჩინი და რეკობა შელაპარაკდნენ, რის შედეგადაც ფეხბურთელი თითქოს გუნდიდან მიდიოდა. კერძოდ, „სამპდორიაში“ უნდა გადასულიყო, მაგრამ ბოსმა, მორატიმ უარი განაცხადა.

„მისი გაყიდვის ვერანაირ საჭიროებას ვერ ვხედავ — თქვა მან — გასაგებია, რომ მანჩინიმ შეკამათების გამო იგი დასაჯა და სიენაში სათამაშოდ არ წაიყვანა, მაგრამ ამით ამ ფეხბურთელის ოსტატობა ხომ არ დაქვეითებულა? რეკობას გაყიდვა არ უთხოვია და კლუბიც, შესაბამისად, არ გაყიდის. ყოველ შემთხვევაში, იანვრის სატრანსფერო ფანჯარაში არაფერი მოხდება“.

**პაპუნა ძიძია**

# ტრეზეგე ნონდას ადგილს გაუსვლის

*იტალიაში დაირხა ხმები, რომ „იუვენტუსი“ ფრანგი ფორვარდის, დავიდ ტრეზეგეს გაყიდვას აპირებს. ამბობენ, რომ ევროპის 2000 წლის ჩემპიონის გასხვისებას „ბებერი ქალბატონის“ შეფები ზაფხულისთვის გეგმავენ, ოღონდ, ცხადია, იმ შემთხვევაში თუ მყიდველი ჯიბეზე დაუნანებლად გაიკრავს ხელს*



დავიდ ტრეზეგემ შესაძლოა „მონაკოში“ ამოყოს თავი

მეორე მხრივ, ტრეზეგეს, შეგახსენებთ, „იუვენტუსთან“ კონტრაქტი ახალი გაგრძელებული აქვს. ამ, ახალი ხელშეკრულების თანახმად, ფრანგი შავ-თეთრი მაისურით 2008 წლის ივნისამდე ითამაშებს, მაგრამ ამ შემოდგომაზე მხარი იტკინა, გუნდს ჩამოშორდა და გაირკვა, რომ „ბებერ ქალბატონს“ მის გარეშე ცუდი არაფერი დამართნია. ერთი სიტყვით, არ არის გამორიცხული, ტურინულმა კლუბმა ასეც სიტუაციაში სახელფასო ფონდზე უფრო მეტად გაამახვილოს ყურადღება, ვიდრე კიდევ ერთი კარგი თავდამსხმელის ყოლაზე.

გეხსომებათ, მიმდინარე სეზონი ტრეზეგემ ძალიან კარგად დაიწყო, მაგრამ შემდეგ, ზემოხსენებული მხრის ტრავმის გამო ოპერაცია დასჭირდა და ზლატან იბრაჰიმოვიჩმა შეცვალა.

და ვინ იყიდის ტრეზეგეს თუ „იუვენტუსი“ მართლა ჩაწერს გასაყიდთა სიაში? ადრე მისით ყველაზე მეტად „ბარსელონა“ და „არსენალი“ იყვნენ დაინტერესებულნი, თუმცა ნურც იმას გაიკვირვებთ, „მონაკოს“ ყოფილი ვარსკვლავი საგრაფოდან შაბანი ნონდას წასვლის შემდეგ ისევ „მონაკოში“ რომ დაბრუნდეს. საინტერესოა, რომ 27 წლის ნონდა შესაძლოა სწორედ „იუვენტუსში“ გადავიდეს. ასე რომ, შეიძლება ყველაფერი ერთი სატრანსფერო კომბინაციით დასრულდეს.

„ვფიქრობ, უკვე დროა თავი იტალიაში მოვსინჯო. „იუვენტუსი“ კი ის გუნდია, რომელზეც ყოველთვის ვოცნებობდი“ — განაცხადა ნონდამ.

შეგახსენებთ, რომ ტრეზეგე „იუვენტუსის“ ძირითადში დასაბრუნებლად, სავარაუდოდ, იანვარში ან თებერვალში იქნება მზად.

**პაპუნა ძიძია**

# გვათხოვეთ, დიეგო!

## სიმეონეს სამშობლოში ეძახიან

არგენტინულმა „რასინგმა“ დაადასტურა, რომ გამოცდილი დიეგო სიმეონე მადრიდის „ატლეტიკოდან“ მიჰყავს — ცნობილ ნახევარმცველს ბოლოხანს შინ დაბრუნების დიდი სურვილი გასჩენია. როგორც კლუბის პრეზიდენტმა ფერნანდო მარინმა განაცხადა, ერთადერთი, რაც ამ საქმეს აკლია, სიმეონეს არგენტინაში ჩასვლა და საბუთებზე ხელის მოწერაა. როგორც ირკვევა, სიმეონე სამშობლოში ქირაობის წესით გადავა, თორემ საკუთრებად მადრიდული კლუბისა დარჩება.



„სიმეონესთან რამდენჯერმე გახლდით მადრიდში და რამდენჯერაც ვნახე, იმდენჯერ მითხრა, რომ „რასინგში“ თამაში სურს — თქვა მარინმა — იგი ფიზიკურად კვლავაც ძალიან ძლიერია, მისი სიმძლავრე და დადებითი თვისებები საყოველთაოდ არის ცნობილი, ასე რომ, ვფიქრობ, ჩემი ოცნება ახდება და დიეგო „რასინგს“ მოახმარს თავის ნიჭსა და გამოცდილებას. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 34 წლისაა, ძნელია მასზე წინ ვინმე დააყენო. ხოლო ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, სიმეონე „რასინგის“ გულშემატკივარია. როდესაც ის ბავშვი იყო, მამას „რასინგის“ თამაშებზე დაჰყავდა“.

ცნობისთვის: „რასინგმა“ ამ უქმეებზე დამთავრებულ აპერტურას ჩემპიონატში მე-10 ადგილი მოიპოვა, ხოლო წლის დასაწყისში, კლაუსურას პირველობაზე მერვე იყო.

**პაპუნა ძიძია**

# კოჭებში ეტყობა, კოჭები სტკივა



რონალდინიომ რაიკარდს ტრავმა დაუმალა

რონალდინიო, რომელიც „ფრანს ფუტბოლის“ გამოკითხვით მესამე ადგილზე გავიდა, თურმე ორივე კოჭის ტკივილს ებრძვის და ისე თამაშობს. თუ გახსოვთ, ბრაზილიელმა სეზონის დასაწყისში ესპანეთის ჩემპიონატის შეხვედრაში, „ესპანიოლთან“ მარჯვენა კოჭი იტკინა, მაგრამ თამაშის გაგრძელება შეძლო, ხოლო დეკემბრის დასაწყისში, როდესაც მისი „ბარსელონა“ „მალაგას“ ეთამაშებოდა, მარცხენა კოჭიც იტკინა.

ბოლო ტურში, „ალბასეტესთან“ რონალდინიო თამაშში არ ჩანდა, როგორც ამბობენ, საერთოდაც იგი მოედანზე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ იყო, რომ მწვრთნელს, ფრანკ რაიკარდს დაუჩემა, ჯანზე ვარ, არაფერი მჭირს და უნდა მათამაშოო. გეხსომებათ, რომ იგი დაასვენეს ჩემპიონთა ლიგაში „შახტართან“.

„ბარსა“ ადასტურებს, რომ ახლა ბრაზილიელი მკურნალობს. სავარაუდოდ, უახლოეს, ორი-სამი დღის განმავლობაში ბურთს საერთოდ არ გაეკარება, ხოლო შემდეგ ესპანურ ფეხბურთს დაუდგება ორკვირიანი არდადეგები და კლუბში იმედოვნებენ, რომ ამ პერიოდში ის საბოლოოდ გამოჯანმრთელდება.

**პაპუნა ძიძია**

# როგორ დავეხმაროთ მსაჯებს

იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ფრანკო კარარო ამბობს, რომ დროა მსაჯებს ტექნოლოგიური დახმარება გავუწიოთ. კარარომ როგორც ფიფას, ასევე უეფას წერილობით მიმართა, სადაც აცხადებს, რომ არბიტრებს ვიდეოფირების ნახვის ნებართვა უნდა დართონ. იტალიელ საფეხბურთო ჩინოსანს სურს ორივე ორგანიზაციამ შეამოწმოს წინადადების ავ-კარგიანობა და კიდევ ერთხელ აწონ-დაწონოს ამ ძველი იდეის დადებითი და უარყოფითი მხარეები. იგი ითხოვს შეიქმნას კომისია, რომელშიც შევლენ მსაჯები, მწვრთნელები და ფეხბურთელები.

რამდენადაც ცნობილია, უეფას პრეზიდენტი ლენარტ იუჰანსონი კარაროს წინადადებას გაგებით და მოწონებით შეხვდა. ამბობენ, რომ იუჰანსონი უეფას აღმასკომის უახლოეს, ამ დღეებში მოსაწვევ სხდომას სწორედ ამ საკითხს მიუძღვნის.

**პაპუნა ძიძია**

# სარბიელი და კრონო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## წარმოგიდგენთ

### სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 დეკემბერი | | | | | | |
| 15:00 | 3 | ბირმინგემი-ვესტ ბრომვიჩი | 1.85 | 3.3 | 3.95 | 1.18 | 1.25 | 1.79 |
| 18:00 | 4 | ტოტენჰემი-საუთჰემპტონი | 1.75 | 3.3 | 4.5 | 1.14 | 1.25 | 1.9 |
| 18:00 | 5 | ჩელსი-ნორვიჩი | 1.2 | 5.5 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.48 |
| 18:00 | 6 | ბოლტონი-სიტი | 2.15 | 3.2 | 3.15 | 1.28 | 1.27 | 1.58 |
| 18:00 | 7 | მიდლსბრო-ასტონ ვილა | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 18:00 | 8 | ბლექბერნი-ევერტონი | 2.6 | 3.2 | 2.5 | 1.43 | 1.27 | 1.4 |
| 20:15 | 9 | მანჩესტერი-კრისტალ პალასი | 1.25 | 4.8 | 9.6 | 1.0 | 1.1 | 3.2 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 16:30 | 10 | ლივერპული-ნიუკასლი | 1.8 | 3.3 | 4.3 | 1.16 | 1.26 | 1.86 |
| 19:05 | 11 | პორტსმუთი-არსენალი | 5.6 | 3.4 | 1.6 | 2.11 | 1.24 | 1.08 |
| | | 20 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 12 | ჩარლტონი-ფულემი | 1.95 | 3.3 | 3.55 | 1.22 | 1.25 | 1.71 |

**ინგლისი. ჩემპიონატი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17 დეკემბერი | | | | | | |
| 22:45 | 13 | ბრაიტონი-სტოკი | 2.45 | 3.2 | 2.6 | 1.38 | 1.26 | 1.43 |
| 22:45 | 14 | ნოტინგემი-ლესტერი | 2.45 | 3.1 | 2.6 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| | | 18 დეკემბერი | | | | | | |
| 15:00 | 15 | შეფილდი-კარდიფი | 1.7 | 3.4 | 4.3 | 1.13 | 1.21 | 1.89 |
| 15:45 | 16 | რედინგი-ქპრ | 1.9 | 3.2 | 3.8 | 1.19 | 1.26 | 1.73 |
| 18:00 | 17 | ქოვენთრი-უოტფორდი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 18 | პრესტონი-ვესტ ჰემი | 2.55 | 3.1 | 2.5 | 1.39 | 1.26 | 1.38 |
| 18:00 | 19 | ვულვერჰემპტონი-ქრიუ | 1.9 | 3.2 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| 18:00 | 20 | პლიმუთი-დერბი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 18:00 | 21 | სანდერლენდი-ბარნლი | 1.7 | 3.3 | 4.5 | 1.12 | 1.23 | 1.9 |
| 18:00 | 22 | ჯილინგემი-როტერჰემი | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 18:00 | 23 | ლიდსი-მილუოლი | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |

**იტალია. სერია A**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 80 | მესინა-ატალანტა | 1.75 | 3.1 | 4.9 | 1.11 | 1.28 | 1.89 |
| 22:30 | 81 | იუვენტუსი-მილანი | 2.3 | 2.9 | 3.2 | 1.28 | 1.33 | 1.52 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 17:00 | 82 | რომა-პარმა | 1.55 | 3.6 | 5.7 | 1.08 | 1.21 | 2.2 |
| 17:00 | 83 | ბოლონია-რეჯინა | 1.9 | 3.0 | 4.2 | 1.16 | 1.3 | 1.75 |
| 17:00 | 84 | ლეჩე-სამპდორია | 2.25 | 3.0 | 3.2 | 1.28 | 1.32 | 1.54 |
| 17:00 | 85 | ინტერი-ბრეშა | 1.35 | 4.0 | 9.0 | 1.0 | 1.17 | 2.76 |
| 17:00 | 86 | ფიორენტინა-კიევო | 1.95 | 3.0 | 4.0 | 1.18 | 1.31 | 1.71 |
| 17:00 | 87 | უდინეზე-ლაციო | 1.8 | 3.1 | 4.6 | 1.13 | 1.29 | 1.85 |
| 17:00 | 88 | სიენა-ლივორნო | 2.25 | 2.9 | 3.3 | 1.26 | 1.33 | 1.54 |
| 22:30 | 89 | პალერმო-კალიარი | 1.9 | 2.9 | 4.4 | 1.14 | 1.32 | 1.74 |

**ესპანეთი. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 18 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 121 | ლევანტე-ალბასეტე | 1.85 | 3.3 | 4.1 | 1.18 | 1.27 | 1.82 |
| 22:00 | 129 | რასინგი-რეალი | 4.2 | 3.3 | 1.8 | 1.84 | 1.25 | 1.16 |
| 23:45 | 130 | ბარსელონა-ვალენსია | 1.65 | 3.5 | 4.9 | 1.12 | 1.23 | 2.04 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 19:00 | 122 | სარაგოსა-ბილბაო | 1.95 | 3.3 | 3.6 | 1.22 | 1.26 | 1.72 |
| 21:00 | 123 | სევილია-ბეტისი | 2.3 | 3.0 | 3.1 | 1.3 | 1.32 | 1.52 |
| 19:00 | 124 | ნუმანსია-ესპანიოლი | 2.9 | 3.0 | 2.4 | 1.47 | 1.31 | 1.33 |
| 19:00 | 125 | სოსიედადი-ხეტაფე | 1.7 | 3.4 | 4.7 | 1.13 | 1.24 | 1.97 |
| 23:00 | 126 | ატლეტიკო-დეპორტივო | 2.3 | 3.0 | 3.1 | 1.3 | 1.32 | 1.52 |
| 19:00 | 127 | ვილიარეალი-მალაგა | 1.7 | 3.4 | 4.65 | 1.13 | 1.24 | 1.96 |
| 19:00 | 128 | მალიორკა-ოსასუნა | 2.3 | 3.1 | 3.0 | 1.32 | 1.3 | 1.52 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17 დეკემბერი | | | | | | |
| 23:00 | 142 | ლიონი-მარსელი | 1.7 | 3.2 | 4.8 | 1.11 | 1.25 | 1.91 |
| | | 18 დეკემბერი | | | | | | |
| 19:15 | 143 | მონაკო-ბორდო | 1.85 | 3.2 | 3.9 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 22:00 | 144 | აიაჩო-ლილი | 3.0 | 2.8 | 2.45 | 1.44 | 1.34 | 1.3 |
| 22:00 | 145 | პსჟ-მეცი | 1.7 | 3.1 | 5.1 | 1.09 | 1.27 | 1.92 |
| 22:00 | 146 | ოსერი-ნიცა | 1.8 | 3.1 | 4.6 | 1.13 | 1.29 | 1.85 |
| 22:00 | 147 | სტრასბური-რენი | 2.05 | 2.9 | 3.8 | 1.2 | 1.33 | 1.64 |
| 22:00 | 148 | ისტრი-სტ.ეტიენი | 2.6 | 2.7 | 2.95 | 1.32 | 1.38 | 1.4 |
| 22:00 | 149 | ლანსი-ბასტია | 1.75 | 3.2 | 4.7 | 1.13 | 1.27 | 1.9 |
| 22:00 | 150 | კაენი-ტულუზი | 2.35 | 2.7 | 3.35 | 1.25 | 1.38 | 1.49 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 20:00 | 151 | ნანტი-სოშო | 2.45 | 2.7 | 3.2 | 1.28 | 1.38 | 1.46 |

**საფრანგეთი. II დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 152 | ლორიანი-ბრესტი | 2.3 | 2.7 | 3.4 | 1.24 | 1.37 | 1.5 |
| | | 17 დეკემბერი | | | | | | |
| 22:00 | 153 | ტრუა-შატორუ | 1.9 | 2.8 | 4.3 | 1.13 | 1.31 | 1.69 |
| 22:00 | 154 | ლავალი-კრეტეი | 1.8 | 3.0 | 4.4 | 1.12 | 1.27 | 1.78 |
| 22:00 | 155 | ნანსი-გრენობლი | 1.6 | 3.3 | 5.3 | 1.07 | 1.22 | 2.03 |
| 22:00 | 156 | ნიორი-გენიონი | 2.45 | 2.7 | 3.0 | 1.28 | 1.34 | 1.42 |
| 22:00 | 157 | გენგამი-ლე ავრი | 1.85 | 2.9 | 4.4 | 1.12 | 1.3 | 1.74 |
| 22:00 | 158 | ამიენი-ლე მანი | 2.1 | 2.9 | 3.4 | 1.21 | 1.29 | 1.56 |
| 22:00 | 159 | დიჟონი-მონპელიე | 2.4 | 2.8 | 2.95 | 1.29 | 1.32 | 1.43 |
| 22:00 | 160 | კლერმონი-რეიმსი | 2.05 | 2.8 | 3.6 | 1.18 | 1.3 | 1.57 |
| 22:00 | 161 | ანჟე-სედანი | 2.5 | 2.8 | 2.8 | 1.32 | 1.32 | 1.39 |

**ბელგია. I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 17 დეკემბერი | | | | | | |
| 22:30 | 162 | მონსი-ანდერლეხტი | 8.0 | 4.5 | 1.3 | 2.88 | 1.11 | 1.0 |
| | | 18 დეკემბერი | | | | | | |
| 22:00 | 163 | გენკი-სერკლი | 1.3 | 4.4 | 8.0 | 1.0 | 1.11 | 2.83 |
| 22:00 | 164 | ლოკერენი-შარლერუა | 2.3 | 3.4 | 2.7 | 1.37 | 1.24 | 1.5 |
| 22:00 | 165 | ვესტერლო-გენტი | 2.7 | 3.4 | 2.3 | 1.5 | 1.24 | 1.37 |
| 22:00 | 166 | ლუვიე-ლიერსი | 2.0 | 3.1 | 3.35 | 1.21 | 1.25 | 1.61 |
| 22:00 | 167 | ბრიუსელი-მუსკრონი | 2.5 | 3.3 | 2.5 | 1.42 | 1.25 | 1.42 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 17:00 | 168 | სტანდარდი-ოსტენდე | 1.2 | 5.5 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.66 |
| 17:00 | 169 | ბევერენი-ბეერსხოტი | 1.9 | 3.4 | 3.5 | 1.21 | 1.23 | 1.72 |
| 21:00 | 170 | ბრიუგე-სტ.ტრუიდენი | 1.2 | 5.5 | 11.0 | 1.0 | 1.08 | 3.66 |

**ჰოლანდია**
**I დივიზიონი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | 16 დეკემბერი | | | | | | |
| 22:00 | 180 | ვიტესი-გრააფსხაპი | 1.3 | 4.7 | 8.4 | 1.01 | 1.12 | 3.01 |
| | | 17 დეკემბერი | | | | | | |
| 22:00 | 181 | ტვენტე-ბრედა | 2.2 | 3.3 | 2.9 | 1.32 | 1.25 | 1.54 |
| | | 18 დეკემბერი | | | | | | |
| 21:30 | 182 | პსვ-როდა | 1.25 | 5.2 | 9.3 | 1.0 | 1.1 | 3.33 |
| 21:30 | 183 | როზენდალი-ალკმაარი | 5.5 | 3.6 | 1.55 | 2.17 | 1.2 | 1.08 |
| 22:00 | 184 | ვალვაიკი-ტილბურგი | 2.3 | 3.3 | 2.75 | 1.35 | 1.25 | 1.5 |
| | | 19 დეკემბერი | | | | | | |
| 14:30 | 185 | დენ ჰააგი-ფეიენოორდი | 6.0 | 3.6 | 1.5 | 2.25 | 1.2 | 1.05 |
| 16:30 | 186 | ნაიმეგენი-ჰერენვენი | 2.7 | 3.3 | 2.35 | 1.48 | 1.25 | 1.37 |
| 16:30 | 187 | უტრეხტი-დენ ბოსხი | 1.3 | 4.3 | 9.4 | 1.0 | 1.14 | 2.95 |
| 16:30 | 188 | გრონინგენი-აიაქსი | 4.8 | 3.6 | 1.6 | 2.05 | 1.2 | 1.1 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **პორტუგალია. სუპერლიგა** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 204 | პორტუ-მორეირენსე | 1.2 | 5.3 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.4 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:15 | 201 | ბრაგა-ბოავიშტა | 2.3 | 3.2 | 2.8 | 1.33 | 1.26 | 1.49 |
| 23:45 | 205 | ბენფიკა-პენაფიელი | 1.3 | 4.3 | 8.4 | 1.0 | 1.12 | 2.84 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 199 | აკადემიკა-ბეირა მარი | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 21:15 | 200 | ნასიონალი-ბელენენსეში | 2.15 | 3.1 | 3.2 | 1.26 | 1.28 | 1.57 |
| 19:00 | 202 | ჟილ ვისენტე-ეშტორილი | 1.9 | 3.3 | 3.6 | 1.2 | 1.24 | 1.72 |
| 23:30 | 203 | სეტუბალი-ლეირია | 2.1 | 3.1 | 3.3 | 1.25 | 1.28 | 1.59 |
| 19:00 | 206 | მარიტიმუ-რიუ ავე | 1.9 | 3.1 | 3.7 | 1.17 | 1.25 | 1.68 |
| | | **20 დეკემბერი** | | | | | | |
| 23:45 | 198 | გიმარაეში-სპორტინგი | 3.2 | 3.1 | 2.1 | 1.57 | 1.26 | 1.25 |
| | | **თურქეთი** | | | | | | |
| | | **17 დეკემბერი** | | | | | | |
| 21:00 | 224 | დენიზლი-გალათასარაი | 3.6 | 3.2 | 1.9 | 1.69 | 1.24 | 1.19 |
| | | **18 დეკემბერი** | | | | | | |
| 17:00 | 225 | გაზიანთეფი-გენჩლერბირლიგი | 1.9 | 3.1 | 3.85 | 1.17 | 1.27 | 1.71 |
| 17:00 | 226 | ტრაბზონი-ისთანბული | 1.25 | 4.6 | 9.0 | 1.0 | 1.09 | 3.04 |
| 17:00 | 227 | ანკარაგიუჯიუ-რიზე | 2.45 | 3.1 | 2.55 | 1.36 | 1.24 | 1.39 |
| 20:00 | 228 | ფენერბაჰჩე-კონია | 1.2 | 5.3 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.4 |
| | | **19 დეკემბერი** | | | | | | |
| 15:00 | 229 | საკარია-მალათია | 3.1 | 3.0 | 2.15 | 1.52 | 1.26 | 1.25 |
| 15:00 | 230 | ანკარა-კაისერი | 1.85 | 3.2 | 3.8 | 1.17 | 1.24 | 1.73 |
| 15:00 | 231 | დიარბაქირი-სამსუნი | 2.05 | 3.1 | 3.3 | 1.23 | 1.26 | 1.59 |
| 20:00 | 232 | ბეშიქთაში-სებათი | 1.2 | 5.1 | 9.5 | 1.0 | 1.06 | 3.31 |
| | | **უეფას თასი** | | | | | | |
| | | **15 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 245 | მიდლსბრო-პარტიზანი | 1.5 | 3.6 | 6.1 | 1.05 | 1.2 | 2.26 |
| 22:45 | 246 | ვილიარეალი-ეგალეო | 1.2 | 5.2 | 10.0 | 1.0 | 1.07 | 3.42 |
| 22:45 | 247 | გრაცერი-ალკმაარი | 1.65 | 3.4 | 4.7 | 1.11 | 1.22 | 1.97 |
| 22:45 | 248 | რეინჯერსი-ოსერი | 1.9 | 3.2 | 3.7 | 1.19 | 1.25 | 1.71 |
| 22:45 | 249 | შტუტგარტი-დინამო | 1.3 | 4.3 | 9.4 | 1.0 | 1.14 | 2.95 |
| 22:45 | 250 | ჰერენვენი-ბევერენი | 1.1 | 7.0 | 12.8 | 1.0 | 1.01 | 4.52 |
| 22:45 | 251 | ლილი-სევილია | 2.05 | 3.2 | 3.2 | 1.24 | 1.24 | 1.6 |
| | | **16 დეკემბერი** | | | | | | |
| 22:45 | 253 | პართსი-ფერენცვაროში | 1.5 | 3.9 | 5.2 | 1.08 | 1.16 | 2.22 |
| 22:45 | 254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 1.6 | 3.7 | 4.8 | 1.11 | 1.2 | 2.08 |
| 22:45 | 255 | პარმა-ბეშიქთაში | 2.05 | 3.5 | 2.9 | 1.29 | 1.2 | 1.58 |
| 22:45 | 256 | სტანდარდი-ბილბაო | 2.45 | 3.1 | 2.6 | 1.36 | 1.26 | 1.41 |
| 22:45 | 258 | ბრიუგე-სარაგოსა | 2.05 | 3.3 | 3.2 | 1.26 | 1.24 | 1.62 |
| 22:45 | 259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.6 | 3.4 | 5.3 | 1.08 | 1.22 | 2.07 |
| 22:45 | 260 | სოშო-პანიონიოსი | 1.2 | 5.0 | 10.2 | 1.0 | 1.07 | 3.35 |


CROCO
BOOKMAKERS
კროკო
ისარგებლეთ კროკოს ახალი მომსახურებით
CROCO
BOOKMAKERS
ტელკრედიტი
TELCREDITI
10
42 00 24
+%


## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10245 | მიდლსბრო-პარტიზანი | 1.85 | 2.3 | 5.0 | 1.02 | 1.35 | 1.57 |
| 10246 | ვილიარეალი-ეგალეო | 1.45 | 2.5 | 7.0 | 1.0 | 1.2 | 1.84 |
| 10247 | გრაცერი-ალკმაარი | 2.1 | 2.2 | 4.7 | 1.07 | 1.45 | 1.49 |
| 10248 | რეინჯერსი-ოსერი | 2.2 | 2.0 | 4.0 | 1.04 | 1.41 | 1.33 |
| 10249 | შტუტგარტი-დინამო | 1.5 | 2.8 | 7.0 | 1.0 | 1.23 | 2.0 |
| 10250 | ჰერენვენი-ბევერენი | 1.2 | 3.5 | 9.0 | 1.0 | 1.05 | 2.51 |
| 10251 | ლილი-სევილია | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 10253 | პართსი-ფერენცვაროში | 1.85 | 2.3 | 5.0 | 1.02 | 1.35 | 1,57 |
| 10254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 1.9 | 2.1 | 4.8 | 1.0 | 1.36 | 1.46 |
| 10255 | პარმა-ბეშიქთაში | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 10256 | სტანდარდი-ბილბაო | 2.9 | 2.0 | 3.3 | 1.18 | 1:54 | 1.24 |
| 10258 | ბრიუგე-სარაგოსა | 2.5 | 2.0 | 3.8 | 1.11 | 1.5 | 1.31 |
| 10259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.9 | 2.1 | 4.8 | 1.0 | 1.36 | 1.46 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი დაბრუნდება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14245 | მიდლსბრო-პარტიზანი | 1.3 | 2.5 |
| 14247 | გრაცერი-ალკმაარი | 1.45 | 2.4 |
| 14248 | რეინჯერსი-ოსერი | 1.7 | 2.2 |
| 14251 | ლილი-სევილია | 1.75 | 2.1 |
| 14253 | პართსი-ფერენცვაროში | 1.3 | 2.5 |
| 14254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 1.45 | 2.4 |
| 14255 | პარმა-ბეშიქთაში | 1.75 | 2.1 |
| 14256 | სტანდარდი-ბილბაო | 1.85 | 1.95 |
| 14258 | ბრიუგე-სარაგოსა | 1.75 | 2.1 |
| 14259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.45 | 2.4 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო. | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11245 | მიდლსბრო-პარტიზანი | 2.0 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11247 | გრაცერი-ალკმაარი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11248 | რეინჯერსი-ოსერი | 2.7 | 10.0 | 20.0 | 3.6 | 4.4 | 7.0 | 20.0 | 10.0 | 6.5 |
| 11251 | ლილი-სევილია | 2.9 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11253 | პართსი-ფერენცვაროში | 2.1 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.5 | 4.6 | 9.0 | 20.0 | 10.0 | 8.0 |
| 11255 | პარმა-ბეშიქთაში | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11256 | სტანდარდი-ბილბაო | 3.4 | 10.0 | 20.0 | 4.6 | 4.4 | 4.8 | 20.0 | 10.0 | 3.8 |
| 11258 | ბრიუგე-სარაგოსა | 3.0 | 10.0 | 20.0 | 4.0 | 4.4 | 6.0 | 20.0 | 10.0 | 5.3 |
| 11259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 2.3 | 10.0 | 20.0 | 3.4 | 4.4 | 7.5 | 20.0 | 10.0 | 7.0 |

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15245 | მიდლსბრო-პარტიზანი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15246 | ვილიარეალი-ეგალეო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15247 | გრაცერი-ალკმაარი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15248 | რეინჯერსი-ოსერი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15249 | შტუტგარტი-დინამო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15250 | ჰერენვენი-ბევერენი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15251 | ლილი-სევილია | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15253 | პართსი-ფერენცვაროში | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15255 | პარმა-ბეშიქთაში | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15256 | სტანდარდი-ბილბაო | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15258 | ბრიუგე-სარაგოსა | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 3.0 | 2.8 | 2.0 |
| 15260 | სოშო-პანიონიოსი | 3.0 | 2.8 | 2.0 |

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

| | | კი | არა |
|---|---|---|---|
| 13245 | მიდლსბრო-პარტიზანი | 1.7 | 1.9 |
| 13247 | გრაცერი-ალკმაარი | 1.7 | 1.9 |
| 13248 | რეინჯერსი-ოსერი | 1.7 | 1.9 |
| 13249 | შტუტგარტი-დინამო | 1.9 | 1.7 |
| 13251 | ლილი-სევილია | 1.7 | 1.9 |
| 13253 | პართსი-ფერენცვაროში | 1.7 | 1.9 |
| 13254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 1.7 | 1.9 |
| 13255 | პარმა-ბეშიქთაში | 1.7 | 1.9 |
| 13256 | სტანდარდი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 13258 | ბრიუგე-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 13259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.7 | 1.9 |

## რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12245 | მიდლსბრო-პარტიზანი | 1.8 | 1.8 |
| 12246 | ვილიარეალი-ეგალეო | 1.95 | 1.65 |
| 12247 | გრაცერი-ალკმაარი | 1.85 | 1.75 |
| 12248 | რეინჯერსი-ოსერი | 1.75 | 1.85 |
| 12249 | შტუტგარტი-დინამო | 2.0 | 1.6 |
| 12250 | ჰერენვენი-ბევერენი | 2.3 | 1.5 |
| 12251 | ლილი-სევილია | 1.6 | 2.0 |
| 12253 | პართსი-ფერენცვაროში | 1.9 | 1.7 |
| 12254 | ბაზელი-ფეიენოორდი | 1.9 | 1.7 |
| 12255 | პარმა-ბეშიქთაში | 1.8 | 1.8 |
| 12256 | სტანდარდი-ბილბაო | 1.7 | 1.9 |
| 12258 | ბრიუგე-სარაგოსა | 1.7 | 1.9 |
| 12259 | ნიუკასლი-სპორტინგი | 1.8 | 1.8 |
| 12260 | სოშო-პანიონიოსი | 1.9 | 1.7 |



# უნივერსიტეტმა კალათბურთი შეინარჩუნა

## ახალი რექტორის პირველი სამუშაო დღე: გავცეთ მოთამაშეთა ხელფასები

*5 დეკემბერს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდმა ერთგვარი საპროტესტო აქტი განახორციელა და ტექნიკური უნივერსიტეტის წინააღმდეგ მატჩში სამი წამყვანი მოთამაშის გარეშე ითამაშა. თსუ-ელთა ლიდერები საერთოდ არ აპირებდნენ მოედანზე გასვლას, ასე სურდათ ხელმძღვანელობის ყურადღების მიქცევა, მაგრამ ზოგიერთმა მათგანმა მაინც ითამაშა .თსუ კი, რა თქმა უნდა, დამარცხდა. გუნდის უფროსობამ მაშინ კალათბურთელებს უთხრა, რექტორის არჩევამდე გვაცადეთო და, მოგეხსენებათ, გუშინწინ თსუ-ს ახალი მმართველი, ქალბატონი რუსუდან ლორთქიფანიძე მოევლინა. სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის ერთ-ერთ მწვრთნელ გია ჯაპახიშვილსაც ახალი ამბის გაგების იმედით შევეხმიანეთ...*

— ეს-ესაა გადაწყდა, რომ არ დავიშლებით და ჩემპიონატში თამაშს გავაგრძელებთ.

**— უშუალოდ რექტორს შეხვდით?**

— არა, პრორექტორ თემურ ხუროძესთან ვიყავით, რომელმაც გადაჭრით გვითხრა, გუნდიც გვეყოლება და ყურადღებასაც არ მოგაკლებთო. ეს ამბავი, ცხადია, ქალბატონი რუსუდანის გარეშე არ გადაწყდებოდა — რექტორმა საჭიროდ ჩათვალა, რომ სახელმწიფო უნივერსიტეტს უმაღლეს ლიგაში ჰყავდეს გუნდი.

**— კონკრეტული რა ითქვა პრორექტორთან შეხვედრაზე, როდის გაიცემა ხელფასები?**

— გეცოდინებათ, ხუთი თვის ხელფასი არ აგვიღია და დაგვპირდნენ, რომ ამ დღეებში ორი თვის ჯამაგირს მოგვცემენ. მოთამაშეებმაც იციან ეს ამბავი და ყველა თანახმაა, სრული დატვირთვით ივარჯიშოს.

**— ამას წინათ თქვენი გუნდის რამდენიმე წევრმა უხელფასობის გამო სტუ-სთან მატჩში პროტესტის ნიშნად არ ითამაშა. ამის გამო რამე გაუგებრობა ხომ არ მოგიხდათ უფროსობასთან?**

— არა, გუნდის ხელმძღვანელობა გაგებით შეხვდა ამ ამბავს. მოთამაშეებს თავიანთი ცხოვრება აქვთ, ოჯახები ჰყავთ და ანაზღაურების გარეშე თამაშს ვერ მოსთხოვ. მაგრამ ეს უკვე წარსულია, ახლა ყველაფერი რიგზეა და მომავალ მატჩებზე ვფიქრობთ.

**— ნოემბრის ბოლოს თსუ პერსპექტიულმა ახალგაზრდამ ბესიკ ლეჟავამ დატოვა, რომელიც ფრანგულ „დიჟონში“ გადავიდა. მისი შემცვლელის მოყვანას არ აპირებთ?**

— არაა გამორიცხული, ვინმე შევიმატოთ, მაგრამ ახლა ამაზე საუბარი არ მინდა. ამ ეტაპზე მთავარი ის იყო, რომ არ დავიშალეთ და მომავალში ალბათ ყველაფერი კარგად იქნება.

**ირაკლი პერტაია**

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა



შაქილ ონილმა „ვაშინგტონს“ 40 ქულა ჩაუგდო

13 დეკემბერი

**ფინიქსი 121:100 ორლანდო**

ფინიქსი: რიჩარდსონ (26), სტუდემაიერი (21), მარიონი (19 ქულა, 10 მოხსნა, 6 დაფარება), ბარგოსა (19)
ორლანდო: ჰილი (23), ფრენსისი (18)

**კლიპერსი 127:134 ბოსტონი**

ძირითადი დრო 109:109

კლიპერსი: მეჯიტი (38), ბრენდი (24 ქულა, 18 მოხსნა), საიმონსი (22)
ბოსტონი: დევისი (34), პირსი (33)

**ჩიკაგო 93:94 დალასი**

ჩიკაგო: კარი (20), დენგი (16)
დალასი: ფინლი (27), ნოვიცკი (21), ჰოვარდი (16 ქულა, 10 მოხსნა)

**მემფისი 86:92 კლივლენდი**

მემფისი: გასოლი (19), რაიტი (16 ქულა, 10 მოხსნა), მილერი (16)
კლივლენდი: ჯეიმსი (31), მაკინისი (18)

**მაიამი 106:83 ვაშინგტონი**

მაიამი: ონილი (40, ქულა, 12 მოხსნა, 5 დაფარება), ბატლერი (16)
ვაშინგტონი: არენასი (18), ბრაუნი (16)



კობი ბრაიანტი

# ენით დაკოდილი კარლი

## ბრაიანტი ცუდად ალაპარაკდა

ამერიკული კალათბურთის ცოცხალმა ლეგენდამ კარლ მელოუნმა განაცხადა, რომ აღარ აპირებს „ლეიკერსში“ დაბრუნებას და მიზეზად ლოსანჯელესელთა ლიდერ კობი ბრაიანტის უტაქტო გამონათქვამებს ასახელებს.

„კარლი განრისხებულია — ამბობს მელოუნის აგენტი დუაიტ მეინლი — იგი არ მოელოდა ბრაიანტისგან ასეთი სიტყვებს. მელოუნი ძალიან დიდ პატივს სცემდა მას და შარშან, როცა კობის პრობლემები შეექმნა გაუპატიურების გამო, პირველი დაუდგა გვერდში.“

ახლა კი ისიც ვთქვათ, რა ილაპარაკა ბრაიანტმა. კობიმ გასულ კვირას რადიო „ექსტრას“ ინტერვიუ მისცა, სადაც, ცხადია „ლეიკერსის“ შიდა ამბებზეც ჩვეული ენაწყლიანობით თუ ენამწარობით ისაუბრა: „ჩვენს გუნდში არაერთი ყოჩაღი ახალგაზრდაა, რომლებიც თავდაუზოგავად ვარჯიშობენ და არაფერს იშურებენ „ლეიკერსის“ საკეთილდღეოდ. მელოუნის მოსვლით კი ვინძლო საქმეც გაფუჭდეს, რადგან კარლმა ახლახან გაიკეთა მუხლის ოპერაცია და როცა ბიჭები მას, როგორც ლეგენდას, ისე დაუწყებენ ყურებას, ვინ იცის, მელოუნმა ვერაფერი გააკეთოს მოედანზე. ეს კი უარყოფითად იმოქმედებს ჩვენს ახალგაზრდებზე, რომლებსაც საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენა გაუჭირდებათ.“

ჰოდა, რა გასაკვირია, მელოუნს „ლეიკერსში“ თამაშზე გული რომ აუცრუვდა, თუმც ლოსანჯელესელთა გენერალური მენეჯერი მიჩ კუპჩაკი ბრაიანტის ნათქვამის სხვანაირ ინტერპრეტაციას სთავაზობს კარლს და ცდილობს, გუნდში თამაშზე კვლავ დაიყოლიოს.

„კობის ასეც რომ ეთქვა, მელოუნმა არ უნდა მიიღოს ასეთი მკაცრი გადაწყვეტილება, უარი არ უნდა თქვას „ლეიკერსში“ თამაშზე — ამბობს კუპჩაკი — ბრაიანტის ინტერვიუ მხოლოდ ბრაიანტისაა და არ გამოხატავს გუნდის საერთო აზრს. ისე, კობის არ უთქვამს, რომ მელოუნი „ლეიკერსში“ არ უნდა დაბრუნდეს, მან მხოლოდ ივარაუდა, ეგებ კარლმა ამ სეზონში ვერ მოახერხოს ფორმის აღდგენაო.“

ასეა თუ ისე, მელოუნი განაწყენებულია და „ბრაიანტის“ „ლეიკერსში“ დარჩენას არ აპირებს. მეინლი კი აცხადებს, რომ მისმა კლიენტმა მუხლი სრულად მოიშუშა და ჩინებულ ფორმაშია, ხოლო ითამაშებს თუ არა სადმე, ჯერ არ გადაწყვეტილა.



კარლ მელოუნი

**ირაკლი პერტაია**



# მაინც მაგრები ვართ!

## მადრიდს ბომბები არ აშინებს

12 დეკემბერს, ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატის მორიგი ტურის მატჩისას, მადრიდში „რეალი“ — „სოსიედადის“ ბოლო წუთები მიდიოდა, ვილაც ბოროტმა ადამიანმა რომ დარეკა და თქვა, სტადიონზე ბომბია და თუ მოასწრებთ გაიქეცითო.

ეს ალბათ თქვენც კარგად მოგეხსენებათ, არასაფეხბურთო გვერდებზე კი ამ მატჩის გახსენება იმიტომ დაგვჭირდა, რომ ამ ამბის გარშემო შემდგომ განვითარებულმა მოვლენებმა ოლიმპიური თემატიკისაკენ გადაუხვია.

მადრიდი რომ 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობას ლამობს, ძველი ამბავია. ამ ბოლო დროს მისი პოზიციები უფრო და უფრო რომ გამყარდა, ამასაც კიდევ ერთხელ მოგახსენებთ. და ამ დროს ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ სპორტულ სარბიელზე ამისთანა რამ ხდება...

თითქოს მომხდარს უარყოფითად უნდა ემოქმედა მადრიდის შანსებზე, მაგრამ არც მთლად ასე ყოფილა საქმე.

ესპანეთის სპორტის სახელმწიფო მდივანმა ხავიერ ლისავეცკიმ გაზეთ „მარკას“ ასეთი რამ განუცხადა: „მომხდარი ერთი-ორად გაზრდის მადრიდის შანსებს ოლიმპიადის მასპინძლობისთვის ბრძოლაში. ხომ ნახეთ, რა გააზრებულად იმოქმედა დაცვის პერსონალმა, ევაკუაციის პროცედურა უზადოდ შესრულდა და მსოფლიომაც დაინახა, რომ რთულ ვითარებაში ჩვენს დაცვის სამსახურებს მაღალ პროფესიულ დონეზე შეუძლიათ მოქმედება.“

კაცმა რომ თქვას, მართალია დონ ხავიერი. სულ რამდენიმე წუთი დასჭირდა სტადიონზე შეკრებილ 70000 ადამიანს, სტადიონი რომ დაეცალა. პანიკას კი ადგილი არც ჰქონია.

ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი რამ ჩვენთან მოხდეს, მაგრამ „დინამოზე“ მუდამ ჩარაზული კარიბჭეები რომ გაგახსენდება, რაც უნდა რკინის ნერვები გქონდეს, მსგავსი სიტუაციის წარმოდგენისას კაცს მაინც ზაფრა გადაგივლის.

მოკლედ, ზოგი ჭირი მარგებელია, სწორედ ამაზეა ნათქვამი.

**ლადო ფულუკიძე**







სერბი ფაშისტის დრაჟა მიხაილოვიჩის ფოტო ხორვატი მოთხილამურის იანიცა კოსტელიჩის ვებ-გვერდზე გაჩნდა

# მაინც შემოვიჭრებით

## სერბმა ჰაკერებმა ხორვატ ვარსკვლავს ვებ-გვერდი დაუნაგვიანეს

ოფოფებიანი ხალხი ყველა ქვეყანაში მრავლადაა და არც სერბეთ-ჩერნიგორია აღმოჩნდა გამონაკლისი. ესპანეთში თუ სატელეფონო ხულიგნობით შეიქციეს თავი, აქეთ სერბმა ინტერნეტის „ჭიებმა“ გამოყვეს ფეხი.

ინტერნეტხულიგნების მსხვერპლი ცნობილი ხორვატი მოთხილამურე იანიცა კოსტელიჩი გახდა. ნეონაცისტმა ჰაკერებმა მის ვებ-გვერდზე შეაღწიეს და სპორტსმენის სურათი სერბი დრაჟა მიხაილოვიჩის სურათით ჩაანაცვლეს. ბატონი დრაჟა კი მეორე მსოფლიო ომის დროს ნამამაძაღლარი კაცი გახლავთ — სერბი ფაშისტების ლიდერი ყოფილა და ანტიფაშისტებს ებრძოდა. მეორე მსოფლიო ომის დასრულებისთავანე კომუნისტებმა სიკვდილით დასაჯეს, თუმცა სერბი ულტრანაციონალისტები მას დღესაც თავის ბელადად მიიჩნევენ. თავად კოსტელიჩის მშობლიურ ხორვატიაში კი მიხაილოვიჩი ყველაზე საძულველ პიროვნებად ითვლება.

საიტზე აგრეთვე სერბი კალათბურთელის, მილან გუროვიჩის სურათიც გაჩნდა. ეს ვაჟბატონი ცნობილი ნეონაცისტია და დიდი ბელადის სურათი მხარზე აქვს ამოსვირინგებული. ამის გამო ბელგრადის „პარტიზანის“ ეს მოთამაშე ერთხელ ხორვატიაში არ შეუშვეს.

„დატერორებული“ კოსტელიჩის ვებ-გვერდზე გუროვიჩის სურათის ქვეშ ასეთი წარწერა გაჩნდა: „თუ საკალათბურთო მოედანზე არა, მაშინ ვებ-გვერდზე.“ აქაოდა, ხომ მაინც შემოვიჭერიო...

მოკლედ, ამ გზააბნეულებმა მთელი ვებ-გვერდი აურ-დაურიეს და ბოლოს ასეთი მინაწერიც დატოვეს: „გულთბილი მოკითხვა მამაცი გმირებისა და ინტერნეტმანიაკების სამშობლო სერბეთიდან.“

მამაცი გმირების რა მოგახსენოთ და „მანიაკობა“ მართლა ათენში კი მოარტყეს.

თავად ვებ-გვერდს რაც შეეხება, ვებ-ოსტატებმა რამდენიმე საათში ყველაფერი ალადგინეს, ამიტომ შეგიძლიათ თამამად შებრძანდეთ, ფაშისტი მანიაკები იქ აღარ დაგვხვდებიან.

**ლადო ფულუკიძე**



# ბეტმენი ვირზე შეჯდა

ახალი ამბები ჩრდილო ამერიკიდან. ჰოკეის მოყვარულთა ოპტიმიზმი ნაადრევი და გადაჭარბებული აღმოჩნდა. კვირას ლიგის წარმომადგენლებმა ოფიციალურად განაცხადეს, რომ ის პროექტი, რომელიც მოთამაშეთა ასოციაციამ წარადგინა, მიუღებელია ნჰლ-სთვის. 14 დეკემბრისთვის დაგეგმილ შეხვედრაზე სავარაუდოდ ლიგა თავის წინადადებას წარადგენს.

„ჩვენ გვჯერა, რომ პროფკავშირის პროექტი საკმაოდ შეღავათიანია და მოკლევადიანი ამოსუნთქვის საშუალებას მოგვცემს, მაგრამ ეს არ არის ის, რისკენაც ჩვენ მივისწრაფვით, ანუ საფუძვლიანი სისტემური ცვლილება, რომელიც სამუდამოდ დაარეგულირებს ყველაფერს“ — თქვა ლიგის ვიცე-პრეზიდენტმა ბილ დეილიმ კანადურ სპორტულ არხ TSN-ისთვის მიცემულ ინტერვიუში.

ასე და ამრიგად, ნჰლ სეზონის სრული გაუქმების საფრთხის წინაშე დადგა. ამერიკის პროფესიული სპორტის ისტორიას ასეთი რამ არ ახსოვს.

არადა, ხელფასების 24-პროცენტიანი სეკვესტრირება და კიდევ სხვა რამდენიმე უპრეცედენტო დათმობა, რომელზეც ნჰლპა მიდიოდა, გვაიმედებდა, რომ ასოციაციის იდეა მოლაპარაკების საშუალებას იძლეოდა და შემდგომში (ცხადია, ლიგის მიერ შეტანილი შესწორებებით) ახალი შეთანხმება მიიღწეოდა, შედეგად კი იანვარში ნჰლ დაბრუნდებოდა.

ამის მაგივრად სრული გაუგებრობა მივიღეთ და გამორიცხული არ არის, რომ პროფკავშირმა საერთოდ შეწყვიტოს მოლაპარაკება. „თუ გერი ბეტმენი ფიქრობს, რომ მხოლოდ ერთადერთი ანუ მისი გზა არსებობს, ეს ძალიან სამწუხაროა და არა მგონია, მომდევნო შეხვედრებმა რაიმე სარგებელი მოგვიტანოს“ — პროფკავშირის მთავარი დირექტორი ტედ სასკინი არ მალავს თავის გულისწყრომას.

მცირე შანსი რჩება იმისა, რომ 14 დეკემბრის შეხვედრა რაიმე სარგებელს მოიტანს. ერთადერთი, ლიგის კონტრწინადადებას უნდა დაველოდოთ, თუმც ისედაც ცხადია, რომ მოთამაშეთა ასოციაცია მას არ მიიღებს (ყოველ შემთხვევაში, სწრაფად), თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სეზონის გადარჩენისთვის დარჩენილი ვადა სულ უფრო და უფრო იწურება, შეგვიძლია, დღესვე დავიტიროთ ნჰლ-ს გარდაცვლილი სეზონი.

**სამველ ლარიბიანი**

# ბანანები კარტერისთვის

## რასიზმი ყინულზე

ჰოკეის ვარსკვლავები ევროპაში დიდ ტურნეს რომ მართავენ, იცით. დღეისათვის მათ უკვე სამი მატჩი ჩაატარეს, ჯერ რიგაში ადგილობრივ „რიგა-2000-ს“ 4:2 მოუგეს, შემდეგ კი ზედიზედ ორჯერ რუს ნჰლ-ელთა გუნდს შეხვდნენ. მოსკოვში 4:5 დამარცხდნენ, ხოლო პეტერბურგში იმავე ანგარიშიც იმარჯვეს და მატჩისშემდგომ ბულიტებშიც 2:1 იყოჩაღეს. მატჩების შედეგს დიდი მნიშვნელობა არცა აქვს, მთავარი ის საზეიმო განწყობაა, რომელიც ნამდვილად იგრძნობა. ვინ იცის, როდის ექნება კიდევ ევროპელ ქომაგს ამდენი ვარსკვლავის ერთბაშად ხილვის ბედნიერება, ლოკაუტი ყოველ წელს ხომ არ არის. ერთია საწყენი, რომ პეტერბურგის მატჩის დროს არასასიამოვნო ინციდენტი მოხდა. ვილაცამ ორჯერ ყინულზე ბანანის ქერქი გადმოისროლა და ორჯერვე ეს მაშინ მოხდა, როცა მოედანზე იმყოფებოდა ნჰლ-ს ვარსკვლავთა გუნდში მოთამაშე, შავკანიანი ენსონ კარტერი. ჰოკეისტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან გულთან ახლოს არ მიიტანა ეს რასისტული გამოხტომა. „არაფერია, სულაც არ მიკვირს, მიმოიხედეთ ირგვლივ რა ხდება“ — უთხრა კარტერმა CANADIAN PRESS-ის კორესპონდენტს.

შეგახსენებთ, რომ ნჰლ-ელელები კიდევ 7 თამაშს ჩაატარებენ სლოვაკეთში, შვეიცარიაში, შვედეთში, ნორვეგიასა და პოლონეთში. ნეტავ, იქ როგორ მიიღებენ კარტერს?



*დღეიდან ჭიდაობის ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ეყოლება. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის აკადემიის საქტო დარბაზში 12 საათიდან ჭიდაობაში მოტრიალე ხალხი შეიკრიბება და რამდენიმე საათში საპრეზიდენტო კენჭისყრაც შედგება*

# არჩევანი ერთია
## მოჭიდავეები დაუჭიდებლად მორიგდებიან

გოჩა ძასოხოვის სავარძელს ერთადერთი პრეტენდენტი ჰყავს — ვეტერანი მოჭიდავე, 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორი ბაკურ გოგიტიძე.

განაცხადის შეტანისთვის დაწესებული ვადის ამოწურვამდე ცოტა ხნით ადრე გამოჩნდა მეორე მსურველიც, მაგრამ ჟურნალ „ფალავანის“ რედაქტორმა ზვიად შევარდენიძემ რამდენიმე დღეში თავადვე მოხსნა კანდიდატურა.

უკონკურენტო გოგიტიძეს წესით ერთსულოვანი მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს. საჭიდაო წრეებში აქამდე არ გამოჩენილან მისი მოწინააღმდეგეები და გამორიცხულია დღეს გამოჩდნენ.

„ყრილობა ალბათ სკანდალებისა და ხმამაღალი განცხადებების გარეშე ჩაივლის“ — გვითხრა ამ ყრილობის მოსამზადებელი მუშაჯგუფის ხელმძღვანელმა გოგი მაკასარაშვილმა. მისივე თქმით, აკადემიის დარბაზში ხმის უფლების მქონე 140 დელეგატი შეიკრიბება, ნაცვლად ადრე დასახელებული 158-ისა. წესდების თანახმად, ყრილობა იმ შემთხვევაში ჩატარდება, თუკი დელეგატების 2/3 მაინც მოგროვდა. გოგიტიძეს კი დამსწრეთა ნახევარზე მეტმა უნდა დაუჭიროს მხარი.

გოგი მაკასარაშვილი: „საპრეზიდენტო არჩევნებამდე ყრილობა რამდენიმე საქმეს მოილევს. ჯერ ფედერაციის გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაიშვილი გააცნობს დამსწრეთ 4-წლიანი მუშაობის ანგარიშს, შემდეგ სარევიზიო კომისიას ავირჩევთ, წესდებაში ცვლილებებს შევიტანთ და ალბათ დებატებსაც გავმართავთ. პრეზიდენტის, გენერალური მდივნისა და ვიცე-პრეზიდენტების არჩევნები კი ყრილობის ბოლო აკორდი იქნება.“

ბაკურ გოგიტიძის მსგავსად, უკონკურენტოა გენერალური მდივნობის კანდიდატი, მოქმედი გენერალური მდივანი ომზარ შოშიტაიშვილიც. ვიცე-პრეზიდენტობაზე კი ოთხი კანდიდატი აცხადებს პრეტენზიას — თემურ ყაზარაშვილი, თამაზ გეგეშიძე, გურამ სალარაძე და ვალიკო იაშვილი ორი ადგილისთვის იბრძვიან, თუმც სავსებით შესაძლებელია, წესდებაში შეტანილ ცვლილებებში ვიცე-პრეზიდენტების რაოდენობის გაზრდაც შევიდეს და იქნებ გული არც ერთს არ დასწყვიტონ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



ქართველ მოჭიდავეებს ხვალიდან ახალი პრეზიდენტი ეყოლებათ

## სეოკ-ის განცხადება

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრთა საყურადღებოდ: გაცნობებთ, რომ ამა წლის 17 დეკემბერს, პარასკევს, სასტუმრო ქორთიარდ მარიოტში (თავისუფლების მოედანი), 12 საათზე გაიმართება საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის საანგარიშო-საარჩევნო სესია.

რეგისტრაცია 11 საათიდან 11.45-მდე





ალბათ ბევრმა არც იცის, რომ საქართველოს ჩემპიონატის ფინალისტ „აკადემიაში“ გერმანიის უმაღლესი [illegible] გრიგოლ სანაძე თამაშობს. რამდენიმე თვეა, რაც იგი თბილისში ჩამოვიდა და მშობლიურ „აკადემიასთან“ ერთად ახლა უკვე საქართველოს ჩემპიონობისთვის იბრძვის. მანამდე კი, გიგო, როგორც მას თანაგუნდელები და მეგობრები ეძახიან, „სარბიელის“ კითხვებს პასუხობს...

# გერმანული რაგბის ქართული რესტავრაცია

— რას გვეტყვი გერმანულ რაგბიზე? როგორი პირობები აქვთ იქაურ კლუბებს?

— ჩემს კლუბს ორი სტადიონი აქვს — სავარჯიშო და სათამაშო. ბაზა არაჩვეულებრივადაა მოწყობილი. უმაღლეს დონეზეა მოგვარებული კვების საკითხიც.

— მწვრთნელი გერმანელი გყავდათ?

— არა, ახალზელანდიელი ბრუს კერკი, რომელსაც ყველასაგან განსხვავებული სავარჯიშო მეთოდები აქვს.

— თვითონ გერმანული რაგბი რა დონისაა?

— სანაკრებო დონეზე სუსტები არიან, საკლუბოზე კი იგივეს ნაღდად ვერ ვიტყვი — ძალიან ბევრი ლეგიონერი ჰყავთ.

— შენ როგორღა მოხვდი გერმანიაში?

— ჩემი მეგობარი შალვა დიდებაშვილი სწორედ იმ კლუბში თამაშობდა, ახლა კი სწავლობს ჰაიდელბერგში. გერმანიაში მისი დახმარებით აღმოვჩნდი.

— ჰაიდელბერგი ახსენე და, როგორც ცნობილია, შვიდკაცა რაგბის ტურნირები იქ ხშირად ტარდება. ერთხელ საქართველოს ნაკრებმაც მოიგო ჰაიდელბერგის შვიდკაცა...

— ჩვენს ქალაქში და კლუბში ქართველებს კარგად იცნობენ და პატივს სცემენ. სხვათა შორის, კლუბის მუზეუმში ბორჯღალოსნების მაისურაც ჰკიდია.

— გერმანიაში სეზონი როდემდე გრძელდება?

— მთელი წელი, ოღონდ ზამთარში ვისვენებთ.

— თასი როდისღა ტარდება?

— ჩემპიონატიც და სათასო შეხვედრებიც ერთდროულად ტარდება.

— მოყვარულთა კლუბი კია, მაგრამ ხელფასს ალბათ იღებდი...

— არა, კლუბი ხელფასს არავის არ უხდის.

— აბა, რითი ცხოვრობდით?

— ხელმძღვანელობა ყველა მოთამაშეს სამუშაოთი უზრუნველყოფს.

— შენ სად მუშაობდი?

— ძველი სახლების სარესტავრაციო ფირმაში მომაწყვეს.

— ვარჯიშს როგორღა ასწრებდი?

— სამსახურს კლუბთან ჰქონდა კავშირი, ამიტომ ყველანაირ პირობას გვიქმნიდნენ, რომ არ გადავღლილიყავით და ვარჯიში შეგვძლებოდა.

— ლეგიონერები ბევრნი იყავით?

— ექვსი ზიმბაბველი, რუსი, რომელიც გერმანიის ეროვნულ ნაკრებში თამაშობს და ორი ამერიკელი ჯარისკაცი.

— ფინალში ვის მოუგეთ?

— ჰანოვერის „დეერტეს.“

— პრემიაც არ დაგირიგეს?

— ცოტა, მნიშვნელოვანი არაფერი.

— გერმანიაში დაბრუნებას ისევ აპირებ?

— თუ ვიზა გამომიგზავნეს და საკონსულოსთან პრობლემა არ შემექმნება, თებერვალში წავალ.

— საქართველოს ჩემპიონატის ფინალზე რას იტყვი, მეტოქედ ბათუმის „დათვები“ გირჩევნია თუ „ლელო“?

— წლევანდელ სეზონში ყველა გუნდთან ერთნაირად დაძაბული თამაში გვქონდა. ამიტომ ვფიქრობ, დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ შეგვხვდება.

**ნინო ლეჟავა**



# ნიჭი არის, დარბაზი არის, შტანგები იქნება...

გიორგი ასანიძის ტრიუმფის შემოქმედმა ვანო გრიქუროვმა რომ პოლონეთის ძალოსნობის ფედერაციასთან კონტრაქტი დაარღვია და ყოველგვარ ეჭვებს წერტილი დაუსვა, ეს უკვე იცით. ბატონი ვანო უკვე შეუდგა „ახალი ასანიძეების“ აღზრდას, რომლებიც, როგორც თავად ამბობს, უხვად იქნებიან საქართველოში.

ამ ყველაფერს კი სავარჯიშო პირობები სჭირდება და აგერ, სპორტის აკადემიასთან მიმდებარე ძალოსნობის დარბაზიც ლაზათიანად შეკეთებულა.

„18 დეკემბერს დარბაზში საჩვენებელი ტურნირი გაიმართება, სადაც უძლიერესი ქართველი ძალოსნები გამოვლენ. გარდა ამისა, ჩამოყალიბდება ეროვნული ნაკრები და შეიქმნება მწვრთნელთა საბჭო. შესაძლოა, ეს ყველაფერი ერთ დღეში ვერ ჩავატიოთ, მაგრამ გეგმა უკვე შედგენილია“ — გვითხრა ვანო გრიქუროვმა და იქვე დასძინა, შტანგები გვაკლია და რაც მალე შევიძენთ, უკეთესი იქნებაო.

**ილია ნანობაშვილი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიანგრიეს

ცვილის სამობაო გამოფენას ლონდონის მადამ ტიუსოს მუზეუმში თავი აღარ აქვს. დატკბილულ და უგემოვნო კომპოზიციას, რომელშიაც ბექემიანთ ოჯახის იერის ფიგურები იოსებს და მარიამს განასახიერებდნენ, კაილი მინოგისა ანგელოსს, სხვა გამოჩენილთა კი სხვებს, კაცი ეტაკა და მოანგრია. - გამოფენა დაიხურა. ქრისტიანობის ამგვარი კომპოზიციით შეურაცხყოფილ მაყურებელს კი უთქვამს: „დიახ, მე მოვამტვრიე. თუმცა, ისიც მინდა იცოდეთ, რომ პირადად ბექემების საწინააღმდეგო არაფერი მაქვს.“





REUTERS

# გუნდმსნაკრები აზიაში

დაიწყო გერმანიის საფეხბურთო ნაკრების მოგზაურობა აზიაში: იურგენ კლინსმანს და მის რაზმს უკვე ტოკიოს ნარიტას აეროპორტში მიესიენ ჟურნალისტები. ოლი კანსაც კი ხალისი ეტყობა. ცხრადღიანი ტურნეს დროს გერმანელები იაპონელებს, სამხრეთკორეელებს და ტაილანდელებს გაეთამაშებიან.




REUTERS მოსკოვიდან

# ლარიონოვი მიდის

მართლა დიდი ჰოკეისტი და მაგარი კაცი იგორ ლარიონოვი, რომელმაც 27 წელიწადს ითამაშა ჰოკეი რუსეთში, კანადასა და ამერიკაში, თამაშს ეთხოვება. გაცილება გაიმართა ლუჟნიკებში, რუსთა და ევროპაში მოხეტიალე, ლოკაუტის გამო თავისუფალი ყველა ვარსკვლავის ნაკრებების თამაშისას.




REUTERS სესტრიერედან

# მეორეც კარგია

აჰ, თავის თხილამურს ლოცავს სილვან ცურბრიგენი, კაცთა მსოფლიოს თასზე სლალომის ერთი ეტაპის მეორე ადგილოსანი. სესტრიერეს მთებში მიმდინარე შეჯიბრზე სლალომი ამერიკელმა ბოდე მილერმა მოიგო, ნახსენებ შვეიცარიელს კი ვერცხლიც გაეხარდა.



REUTERS იოკოჰამიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კლაურაძე, ოთარ მალლაკელიძე, ილია ნანობაშვილი, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოღრაშვილი, ზვიად მოსიაშვილი, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge